პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილის. კომიტეტის და სრ. საქ მ, გ. წ.-ა. და მატრ. დეპ. საბ. ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული.

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 1[illegible] მე-2 სართული ტელეფ. № 5—[illegible]

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 229 230 შაბათი, 7 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 230

დღიური

— იტალიის სოციალისტური პარტიის [illegible] დღეს მიემხრობა კომინტერნს.

— ანგორის მთავრობამ მოკავშირეებს წინადადება მისცა კონფერენციაზე მოწვეულ იქნეს რუსეთის, უკრაინის და საქართველოს დელეგატები.

— საბერძნეთის ჯარი ახალ მთავრობას არ ემორჩილება.

— საბერძნეთი ისევ ომისთვის ემზადება.

ორშაბათს, 9 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე შესდგება კრებები

კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების

სექციებისა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ თავის დროზე.

(3—2) მდივანი: **ხუნდაძე.**

ორშაბათს, 9 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე,

საქ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (შესავალი ბარიატინის ქუჩიდან)

გაიმართება

საქართველოს პროფკავ საბჭოს გაფართოებული პლენუმის

სხდომა

კავშირთა ცენტრალურ მმართველობის, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგში:

1, მოხსენება სრულიად რუსეთის პროფკავშირთა 5-ე ყრილობის მუშაობის შესახებ. (მომხ. ამხ. ყურულიშვილი და ნუცუბიძე);

2. დედობის და ბავშვობის დაცვის შესახებ (მარკოსოვი).

3. მიმდინარე საქმეები.

საკითხის მნიშვნელოვანობის გამო პლენუმის ყველა წევრთა და ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფკავ. საბჭ. პრეზიდიუმის მდივანი—**ბუხუშვილი.**

(380—2—1)

ახალი მომენტი

ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა რამდენიმედ შეიცვალა. როგორც მკითხველი გაიგებდა უკანასკნელი რადიო-დეპეშებიდან, ოსმალეთ-საბერძნეთს შორის ჩამოგდებულ იქნა დროებითი ზავი. მუდანის კონფერენციამ, რომელიც შესდგებოდა ანტანტის და ოსმალეთის წარმომადგენლებისაგან, გაარჩია დროებითი ზავის წინასწარი პირობები და მასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია ზოგიერთი პირობა: ფრაკიას დაუყონებლივ იკავებს მოკავშირეთა ძალა; ერთი თვის განმავლობაში ეს ტერიტორია გადადის მოკავშირეთა და ოსმალთა კომისიის ხელში, რომელიც მართავს მას ოსმალეთის ჟანდარმერიის დახმარებით საბოლოო ზავის ჩამოგდებამდე; ოსმალეთი აღიარებს ნეიტრალურ ზონის ხელუხლებლობას და სხ.

ამ გვარად იარაღმა ადგილი ჯერჯერობით დაუთმო დიპლომატიას.

ჩვენ არა ვართ სინამდვილით გაცნობილი ამ ბოლო დროს შექმნილ მდგომარეობას და ანგორის მისაზრებებს, რათა შესაძლებლობა გვქონდეს ამ ფაქტის სწორი შეფასების. ერთი კი ცხადია, რომ ქემალი, საბერძნეთის ჯარის განადგურების შემდეგ, პირისპირ წარსდგა ანტანტის და კერძოთ ინგლისის წინაშე და თავი შეიკავა მასთან უშუალო ომისაგან. შესაძლებელია ქემალის ჯარებს ლაშქრობის შემდეგ სჭირიათ შესვენება, შევსება და გადაჯგუფება, რათა შემდეგ განახლებული ენერგიით განაგრძონ ძლევამოსილი მსვლელობა სტამბოლის დასაპყრობად და ოსმალეთის მთელი ტერიტორიიდან ყველა მოძალადეთა გასაძევებლად, რაც, ეჭვი არ არი, შეადგენს ოსმალეთის პროგრამას.

არის მეორე შესაძლებლობაც. მოსალოდნელია, რომ ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდნენ ოსმალეთ-საბერძნეთის ხარჯზე, რომ საფრანგეთმა, რომელიც აქამდე ეხმარებოდა ოსმალეთს, საგრძნობი კომპენსაცია მიიღო ინგლისისაგან და ეხლა ზურგი შეაქცია მას. ისედაც ოსმალეთის გამარჯვება საფრანგეთს იმიტომ ხომ არ სურდა, რომ თვით ოსმალეთი გამხდარიყო თავის მიწა-წყალის სრული ბატონ-პატრონი, არამედ თავის ჰეგემონიის გასაძლიერებლად როგორც ოსმალეთზე, ისე საერთოდ მცირე აზიაში. ხოლო ამბების მსვლელობა თუ ის თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივა, საფრანგეთს უქადის სრულ ალაგმვას აღმოსავლეთიდან. ამიტომაც დროებით საერთო ენის გამოძებნა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელთა ინტერესები ასე ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მოსახერხებელია, როცა საქმე ეხება ორივე მათ წინააღმდეგ აჯანყებულ ხალხების დამონებას. ამ ორი სახელმწიფოს მთავრობათა წარმომადგენლების თათბირიც, რომელიც პარიზში მოხდა, მოწმობს რომ მათ ერთგვარ შეთანხმებას მიაღწიეს.

ასეა თუ ისე, დროებითი ზავი ჩამოვარდა, ქემალმა შეაჩერა შეტევა სტამბოლის და სრუტეების დასაკავებლად. ეხლა იწარმოებს გაცხარებული მოსამზადებელი მუშაობა მომავალ კონფერენციისათვის, რომელმაც თითქო უნდა საბოლოოდ გახსნას ახლო აღმოსავლეთის კვანძი, გადასწყვიტოს სადაოდ მიჩნეული საკითხები. დიპლომატიურ კომბინაციებთან ერთად ამ ხნის განმავლობაში ცხადია, ორივე მხარე გააგრძელებს სამხედრო სამზადისს. ინგლისი შეეცდება საკმაო ძალას მოუყაროს თავი, რათა გავლენა მოახდინოს კონფერენციის მსვლელობაზე. დღეს ცნობაა, რომ თვით დამარცხებული საბერძნეთიც მობილიზაციას უშვრება თავის უკანასკნელ ძალებს. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, არც ქემალი დაიძინებს.

სამხედრო ძალის გარდა, კონფერენციაზე არსებითი გავლენა ექნება მის შემადგენელ ძალთა განწყობილებას.

ოსმალეთს უნდა ყავდეს იქ ისეთი მოკავშირე, რომელიც დაიცავს როგორც მის ნაციონალურ უფლებებს, ისე სრუტეების საკითხის გადაჭრას დაინტერესებულ მხარეთა სასარგებლოდ. ასეთად არ გამოადგება, რასაკვირველია საფრანგეთი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ფიქრობს დაჩაგრულ ხალხების ინტერესებზე. მხოლოდ საბჭოთა ფედერაცია შეიძლება იყოს ის ძალა, რომელიც მართლა დაიცავს ოსმალეთის ჭეშმარიტ ინტერესებს და სრუტეების პრობლემასაც სამართლიანად და მიზანშეწონილად გადაჭრის. ამიტომაცაა, რომ ოსმალეთი, როგორც დღევანდელი ცნობიდანაც სჩანს, კატეგორიულად მოითხოვს რუსეთის, უკრაინის და საქართველოს მიწვევას კონფერენციაზე.

რაც შეეხება თვით რუსეთს, მან უკვე საკმაოდ გამოააშკარავა თავისი პოზიცია როგორც განზრახული კონფერენციასადმი, ისე საერთოდ ახლო აღმოსავლეთის პრობლემისადმი. ის კერძოდ სასიცოცხლოდ დაინტერესებულია სრუტეების ბედით და მის მონაწილეობის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებას არავითარი ძალა არ ექნება მისთვის, რაც არსებითად იმას ნიშნავს, რომ ასეთი გადაწყვეტილება საერთოდ უსიცოცხლო იქნება, ვინაიდან დღეს საბჭოთა ფედერაცია ისეთი საერთაშორისო ფაქტორს წარმოადგენს, რომლის იგნორაცია ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ ბოლოს და ბოლოს ვამბობთ, რომ არსებითად და საბოლოოდ საკითხი ვერ გადიჭრება „მშვიდობიანი“ და დიპლომატიური გზით. საკითხის ასეთი გადაჭრა იქნება არამკითხე ოპეკუნების, ანტანტის სახელმწიფოების ალაგმა აღმოსავლეთში, რაზედაც ისინი, რა თქმა უნდა, „მშვიდობიანი“ გზით არ დასთანხმდებიან. ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად კი აღმოსავლეთის კვანძი, ისე როგორც ყველა დიდი საკითხი, გადაიჭრება იარაღით, ვინაიდან კაპიტალისტურ მთავრობებს მხოლოდ ძალა სწამთ. ამ ომს აუცილებლად მოყვება რევოლიუცია, რომლის ცეცხლი ფერფლად აქცევს მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს.

საქართველოს სათბობით მომარაგების შესახებ

საკითხი საქართველოს თხელი სათბობით და გასანათებელი ზეთით მომარაგების შესახებ მეტად საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის მჭიდროთ დაკავშირებულია ამ პროდუქტებით მომარაგების საქმის ცენტრალიზაციის საკითხთან, რომელიც იწვევს დიდ კამათს, და საკითხთან სახელმწიფო მონოპოლიის მიზანშეწონილობის შესახებ.

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა მივიღოთ ბაქოდან ნავთი,—სათბობი მასალის ეკონომია მაინც აუცილებელია, რადგან ამ ჟამად ბაქოს სამრეწველო რაიონის წარმოების სისუსტის გამო, საბჭოთა ფედერაციის სათბობის მოთხოვნილების ნავთის ეხლანდელი ამოღება ვერ აკმაყოფილებს. ეს გარემოება ციფრებით დაამტკიცა თავის წერილში „ბაქოს ნავთის მრეწველობის მდგომარეობა“. (ეკონომ. ცხოვრ. № 205 ა. წ.) სერებროვსკიმ.

ამ გვარად, თუ ვსცნობთ ამ საქმეში ცენტრალიზაციას აუცილებლად, ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება სავსებით განხორციელებულ იქნეს სახელმწიფოს მონოპოლიით. ამიტომ ეხლანდელ ეკონომიურ მდგომარეობის პირობებში, სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს მიერ ნავთის პროდუქტებით ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადება, რასაც ახორციელებს სათბობი მასალის განყოფილება (1922 წ. მაისიდან).

სათბობი მასალის განყოფილება გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე ა. წ. თებერვლიდან. იქამდე კი თავისი არსებობის თითქმის 1 წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს სათბობი მასალა ეძლეოდა სესხად. მხოლოდ კერძო პირებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (განსაკუთრებით კოოპერატივებს და მათ გაერთიანებებს) ეძლეოდა ნაღდ ფულზე, რომელიც შედიოდა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საერთო სალაროში. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისას განყოფილების რესურსები გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში: ნაღდი ფული არ იყო სრულებით; ძირითადი თანხა უძრავი ქონების სახით (საწყობები და მათი მოწყობილება) და მოძრავის სახით (საწყობების ინვენტარი) იყო 89.502 მანეთის ოქროთ; ნავთის პროდუქტები და მაგარი სათბობი მასალა 2.178 336 მანეთის, ა. წ. პირველ აგვისტოსთვის რესურსები საგრძნობლად გაიზარდა: ნაღდი ფულის რაოდენობა გამოიხატებოდა 125.605.182 მანეთში, ნავთის პროდუქტები და მაგარი სათბობი მასალა იყო 10.204.049.097 მანეთის. ამ რიგად აღნიშნულ დროის განმავლობაში საბრუნავი თანხა განყოფილებამ გაადიდა ხუთჯერ. განყოფილებამ მოაწყო პროვინციებისათვის ნავთის პროდუქტების წესიერი მიწოდება ადგილობრივ კონტრ-საგენტოების,—უმთავრესად, პროვინციის სახელმწიფო დაწესებულებების საშუალებით, როგორიც არიან: აჭარის სახ. მეურნეობის საბჭო, აღმასკომები, ეკონომიური და კომუნალური მეურნეობის განყოფილებები. მონოპოლიის გამოცხადების და განყოფილება ორგანიზაციის შემდეგ ნავთის პროდუქტების ხარჯი პროვინციებში ერთბაშათ გაიზარდა: მაგალითად, ივლისში დახარჯული ნავთის რაოდენობა 1 ნახ. ჯერ სჭარბობს წინა 5 თვეში დახარჯულს და 20 ჯერ ივნისის ხარჯს. იგივე, მაგრამ უფრო ნაკლებად, შეიძლება ითქვას ნავთის სათბობი მასალის შესახებ.

მონოპოლიის გატარების დროს განყოფილებამ მიზნად დაისახა სათბობი მასალის ფასები გაეჩერებია განსაზღვრულ დონეზე, რამდენაც ეს შესაძლებელია ვალიუტის რყევის დროს. სათბობი მასალის ღირებულების ხშირი ცვალებადობა (განსაკუთრებით გადიდებისაკენ) თავის მხრივ იწვევდა წარმოების პროდუქტების ფასების რყევას, რაც, რა თქმა უნდა, არა სასურველად მოქმედობს მრეწველობაზე. ამ მხრივ შემსუბუქება მრეწველობის ისედაც მძიმე მდგომარეობისა წარმოადგენს სათბობი მასალის განყოფილების მიზანს. მონოპოლიურ ვაჭრობის უპირატესობა თავისუფალ კონკურენციის წინაშე განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანს მცხოვრებლებს შორის გასანათებელი ნავთის განაწილებაში. ვაჭრობის მეორე სისტემის დროს ნავთი ბლომად იქნებოდა ცენტრებში, სადაც მასი განაღდება უზრუნველყოფილია, და პირიქით, შორეულ პროვინციებში, სადაც ნავთის მოთხოვნილება გაცილებით სუსტია და ვაჭრობის მოგვარება უფრო ძნელია, მოსახლეობა ნავთს ხელმისაწვდომ ფასებში ვერ მიიღებდა. ამიტომ განყოფილებამ მიზნად დაისახა ამ პირველ მოთხოვნილების პროდუქტის მცხოვრებლებთან დაახლოვება. ამ ჟამად სამხრეთ ოსეთში ნავთი იყიდება 22 პროც ით უფრო ძვირად, იმ დროს, როცა სხვა შემოტანილი საქონელი 50—100 პროც ით ძვირია ვიდრე თბილისში. განყოფილების მოღვაწეობის გაფართოებას ძლიერ ხელს უშლის ზოგიერთ დაწესებულებათა დიდი დავალიანება. განყოფილებამ რომ შესძლოს ამ ვალების განაღდება თუნდაც 75—80 პროცენტის რაოდენობით, მაშინ ამ საშუალებათა ნავთის მრეწველობისათვის გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა, როგორც თავის შემოსავლის რაოდენობის გადიდება, ისე ნავთის გავრცელება რესპუბლიკის სხვადასხვა მივარდნილ ადგილებში.

ვ. ვ.

უცხოეთის ჟურნალ გაზეთებიდან

შეერთებულ შტატებიდან ნახშირის ექსპორტის შემცირება. ინგლისის მემაღაროების შარშანდელმა ხანგრძლივ გაფიცვამ მეტად გააძლიერა ნახშირის ექსპორტის შეერთებულ შტატებიდან. ამ ექსპორტის განვითარება შეადგენდა შეერთებულ შტატების დიდი ხნის მიზანს და მაღაროების პატრონებმა, მთავრობის დახმარებით, იხმარეს ყოველივე ძალღონე ხელსაყრელი მომენტის გამოყენებისათვის. ამ გვარად ამერიკის ნახშირი მოხვდა ისეთ ადგილებში, სადაც მის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ.

მაგრამ შეერთებულ შტატებში მემაღაროების გაფიცვამ, რომელიც დაიწყო 1 აპრილს, ერთბაშად დაარღვია ამერიკელ მრეწველების ყველა გეგმები და ანგარიშები. მთის ასფალტისებური ჯიშის ნახშირის გამოტანა შეერთებულ შტატებიდან, გაფიცვისა და სხვა მიზეზების გამო, დაეცა 34.000.000 ტონ. 302.000.000 დოლ. ღირებ. 13.000.000 ტონ. 68.000.000 დოლარის ღირებულებამდე ანტრაციტის გამოტანა შემცირდა 5.000.000 ტ. 32.000.000 დოლ. ღირ. 3.000.000 ტ. 32.000.000 დოლ. ღირებულებამდე.

მომავალში მოსალოდნელია შეერთებულ შტატებიდან ნახშირის ექსპორტის კიდევ უფრო მეტი შემცირება. ამ სახელმწიფომ ჯერ უნდა იზრუნოს თვით შინაური ბაზრის ნახშირით უზრუნველყოფაზე, რადგან მარაგი სრულიად გამოლეულია.

ნახშირის ამოღება სამხრეთ სლავიაში. ინტერსს არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ სამხრეთ სლავიის ყველა პროვინციებში, მარტო სლოვენიის გამოკლებით, ნახშირის ამოღებამ მიაღწია ნორმალურ ე. ი. ომის წინა დროინდელ დონემდე, და ზოგიერთ ადგილებში ამ დონეს კი დეც გააცილა, როგორც ეს სჩანს ქვემოდ მოთავსებულ ცხრილიდან:

	1913 წ.	1919	1920	1921
სერბია	257.172	111.246	341.949	401.472
ბოსნია და გერცოგ.	805.757	662.671	826.664	915.531
სლოვენია	2.344.826	1.152.689	1.193.874	1.272.970
კროაცია დ სლავონია	199.829	256.900	387.390	359.130
სულ	3 607.584	2.183.455	2 749.882	2.949.106

წარმოების შედეგების შედარების დროს, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ, 1912 წ. შედარებით არის დანაკლისი 658.478 ტონი. მაგრამ მთელი ეს დანაკლისი გამოწვეულია სლოვენიაში ნახშირის ამოღების მნიშვნელოვანად შემცირებით, სახელდობრ 50 პროცენტით. ეს დანაკლისი ვერ დაფარა სამხრეთ სლავიის სხვა ადგილებში ნახშირის ამოღების 1913 წელთან შედარებით მნიშვნელოვანად გადიდებამ.

ინგლისის საგარეო ვაჭრობა აგვისტოში. ინგლისის სავაჭრო ბალანსი აგვისტოს განმავლობაში ივლისთან შედარებით მნიშვნელოვანად გაუარესდა. იმპორტი გაიზარდა 81.800.000 დან ივლისში 82.700.000 გირ. სტერლინგამდე, ექსპორტი კი დაეცა 68.700.000-დან 67.500.000 გირვ. სტერლინგამდე. ამ გვარად, შემოტანის გადაჭარბება გადატანაზე, რომელიც ივლისში შეადგენდა 13 მილ., გაიზარდა 15 მილიონ გირ. სტ, გასულ წელთან შედარებით განსხვავება სავაჭრო ბალანსში გამოიხატება შემდეგ ციფრებში: 1921 წელს პირველ მეოთხედში შემოტანა უდრიდა 307.670 000, გატანა—254.234.000 გირვ. სტერლ.; შემოტანის გადაჭარბება—58 532.000 გირვანქა სტერლინგი. 1922 წლის პირველი მეოთხედის შემოტანა—233.742.000, გატანა—163,946.000 გირ. სტ. შემოტანის გადაჭარბება—100.540.000 გ. სტ. მიმდინარე წლის იმავე მეოთხედში. შემოტანა—253.773.000. გატანა—192.583.000; შემოტანის გადაჭარბება 61.190.000 გ. სტ. დაბოლოს 1921 და 1922 წლის ივლისს შორის ნახშირის შემოტანის გადაჭარბების განსხვავება შეადგენს 15.174.000 მიმდინარე წლის სასარგებლოდ, აგვისტოში კი ეს განსხვავება გამოიხატება 12.112.000 გირ. სტ. მიმდინარე წლის სასარგებლოდ.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ანგორის პრესა

ანგორა. 1 ოქტომბერი „ენი გიუნი“ სასტიკად ილაშქრებს ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მას სურს გამოიყენოს საბერძნეთის რევოლიუციონური ჯარი ფრაკიაში ოსმალეთის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

გაზეთი „ომიუნი“ ათავსებს სასტიკ წერილს სულთანის წინააღმდეგ. წერილი ასეთ თავდება: „სულთანის გვირგვინი უნდა დაიმსხვრეს, უნდა ჩავაგდოთ ცეცხლში და დავწვათ, დეე ჩვენმა არმიამ, რომელმაც ძირს დაანარცხა კონსტანტინეს გვირგვინი, იხილოს თავისი თვალებით სულთანის გვირგვინის ფერფლიც.“

შეხვედრა ბაქანზე.

რ. ფ. ს. ს. რ. წარმომადგენელმა ამხ. არალოვმა მიულოცა ქემალ ფაშას ბრწყინვალე გამარჯვება და გამოსთქვა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასების სახელით აღფრთოვანება ანატოლიის იმპერიალისტურ ოკუპანტების ბატონობისაგან განთავისუფლების გამო. აქვე დაესწრო მთელი თავისი შემადგენლობით რ. ს. ფ. ს. რ., აზერბეიჯანის, ავღანისტანის და სპარსეთის საელჩოები, საფრანგეთის წარმომადგენელი პოლკ. მულენი, ანგორის მთავრობის წევრები და მეჯლისის წარმომადგენლნი. დღის 12 საათზე ბაქანთან მოვიდა მატარებელი, რომელსაც შეხვდენ განუწყვეტელი ოვაციებით, სიმღერით; მუსიკით და ქემალის პატივსაცემი ჰიმნით. მისალმებების მოსმენისა და გლეხებთან ლაპარაკის შემდეგ, ქემალ-ფაშა დიდი ზეიმით გაემართა მეჯლისისაკენ.

შეხვედრის შემდეგ შესდგა ჯარების აღლუმი, სახალხო ცეკვები და ყველა ორგანიზაციების პროცესია დროშებით და პლაკატებით ხელში.

ხალხის მასების ენტუზიაზმი ძლიერ დიდია. მოელიან კონსტანტინეპოლის ახლო მომავალში აღებას. ხვალ ქემალ ფაშა დაესწრება მეჯლისის სხდომას.

კონფერენციის ირგვლივ.

ქაირო. 5 ოქტომბერი. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად მუდანიის მოლაპარაკება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

დროებითი ზავი.

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. დროებითი ზავი ოსმალეთ-საბერძნეთის ფრონტზე დაიწყო 2 ოქტომბერს.

საბერძნეთის რევკომს არ ემორჩილებიან.

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. საბერძნეთის ჯარები უარს ამბობენ რევკომის მორჩილებაზე.

გიორგი მეფის მდგომარეობა მეტად მერყევია.

ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია.

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. თავის პასუხში მოკავშირეების მიმართ, ანგორის მთავრობა მოითხოვს, რათა ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღოს რუსეთმაც.

ნამდვილი აზრი.

რომი. 5 ოქტომბერი. იტალიაში დიდ ინტერესს იწვევს მუდანიის წინასწარი კონფერენციის შედეგი, რომელზედაც ოსმალეთ საბერძნეთის საკითხის სახით გადაწყვეტილი იქნება ინგლის ოსმალეთის საკითხი სრუტეების შესახებ.

ოსმალეთის ჯარების გაყვანა.

ჰანოვერი. 6 ოქტომბერი. ოსმალეთის ნაწილების საკომანდო შემადგენლობამ, რომელიც იმყოფება ნეიტრალურ ზონაში მიიღო ბრძანება ნეიტრალურ ზონიდან გასვლის შესახებ. ცხენოსან ჯარების ნაწილები დარდანელის სექტორში მზად არიან გასასვლელად.

საბერძნეთის სამხედრო მინისტრის მოწოდება.

ჰანოვერი. 6 ოქტომბერი. საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა მიმართა მოწოდებით ყველა ბერძნებს, რომელნიც არ შევიდენ ჯარში, და მოუწოდა დაუყოვნებლივ შევიდენ არმიაში.

კონსტანტინეს გადადგომის აქტი.

ჰანოვერი. 5 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით კონსტანტინეს გადადგომის აქტი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, ნაპოვნია და იქნება გამოქვეყნებული.

რომის პაპი და ანგორა.

ჰანოვერი. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პაპმა გაგზავნა კონსტანტინოპოლში ქემალ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად ბუქარესტის ნუნცია ბარმაგი. მოლაპარაკება შეეხება ოსმალეთში ქრისტიან მცხოვრებთა დაცვას და სამართლიან ზავის ჩამოგდებას.

რუსეთი და ახლო აღმოსავლეთი.

ჰანოვერი. 6 ოქტომბერი. საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას რუსეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთის საკითხში „მოსკოვის იზვესტიები“ ხელახლა აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია სრუტეების საკითხის გადაწყვეტა რუსეთის გარეშე.

საბერძნეთის წინააღმდეგობა.

ნაუენი. 6 ოქტომბერი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობას არ სურს მოახდინოს ფრაკიის ევაკუაცია და ემზადება გაიწვიოს ჯარში 17—18 წლიანები. გაზ. „კორიერა დელასერას“ ცნობით საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა გამოაქვეყნა ბერძნებისადმი მიმართვა არაბთა-მოხალისეებად ჩაწერის შესახებ.

გართულება მუდანიის კონფერენციაზე.

კრაიდონი. ლონდონში გაიმართა ინგლისის კაბინეთის სხდომა, რომელზედაც განიხილეს გენ. გარინგტონის მოხსენება მუდაანის კონფერენციის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონფერენცია წარმოიშვა სერიოზული დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვა საჭიროა. ამ მიზნით დელეგატები შეიკრიბებიან მორიგ სხდომაზე.

დიდი კონფერენციის მოწვევის გამო.

რომი. 6 ოქტ. როგორც სჩანს მუდაანის კონფერენცია დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. შესაძლოა, რომ 15 ნოემბერს ვენეციაში შეიკრიბება დიდი კონფერენცია ახლო-აღმოსავლეთის საკითხის გადასაწყვეტად. მთლიან ოსმალეთის პასუხს კონფერენციის მოწვევის ადგილის შესახებ, ფიქრობენ, რომ ანგორის მთავრობა არ იქნება წინააღმდეგი ვენეციაში კონფერენციის მოწვევისა. ყოველ შემთხვევაში კონფერენციის მოწვევის ადგილად დანიშნული იქნება იტალიის ერთ—ერთი ქალაქი.

ვენიზელოსის წინადადება.

რომი. 6 ოქტომბერი. ვენიზელოსი გაზ. „ტაიმსში“ დაბეჭდილ წერილით იძლევა წინადადებას დატოვებულ იქნეს ფრაკია საბერძნეთის ადმინისტრაციის ხელში ფრაკიის საკითხის კონფერენციაზე გადაწყვეტამდე, ფრაკიის კონტროლი ვენიზელოსის აზრით უნდა იქნეს მოკავშირეთა ჯარების ხელში, რომელთაც ამჟამად უკავიათ ნეიტრალური ზონა. ვენიზელოსის ეს წინადადებანი ახალ გართულებას იწვევს ახლო-აღმოსავლეთის საკითხში.

ანგორის პასუხი მოკავშირეთა კომუნისტურ ნოტაზე,

კროიდონი. 6 ოქტომბერი. ანგორის მთავრობამ უპასუხა მოკავშირეთა კოლექტიურ ნოტაზე 23 სექტემბერს. თავის პასუხში ანგორა გამოსთქვამს თანხმობას მშვიდობიან კონფერენციის მოწვევაზე და ასახელებს კონფერენციის მოწვევის ადგილად სმირნას. ანგორა მოითხოვს, რათა რუსეთი უკრაინა და საქართველო აგრეთვე იქნან მოწვეული კონფერენციაზე კონფერენციის მოწვევის ვადათ ანგორა ნიშნავს 20 ოქტომბერს. ნოტაში სხვათა შორის ნათქვამია: „ჩვენ მადლობას უცხადებთ მოკავშირეებს ფრაკიაში ჩვენი უფლების აღიარებისათვის“. რაც შეეხება სრუტეებს, ამ საკითხში ანგორის პასუხი ბუნდოვანია. ნოტაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ანგორის მთავრობა დიდი ინტერესით მოელის მოკავშირეების მიერ კონსტანტინოპოლის დაცლას.

საბერძნეთის წარმომადგენელი მუდანიის კონფერენციაზე.

ბორდო. 6 ოქტომბერი. საბერძნეთის წარმომადგენლად მუდანიის კონფერენციაზე დანიშნულია პოლკოვნიკი პლასტირასი.

მუდანიის კონფერენცია.

პარიზი. 6 ოქტომბერი. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, კონსტანტინოპოლში ჩავიდენ მოკავშირეთა გენერლები კონფერენციიდან, მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებთან მოსალაპარაკებლად, თათბირის შემდეგ ისინი დაბრუნდენ მუდანიაში.

ბორდო. 6 ოქტომბერი. მუდანიის კონფერენციაზე სამშვიდობო განყოფილების გამო შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელია.

ინცინდენტების თავიდან ასაცილებლად.

ბორდო. 6 ოქტომბერი. კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრენ სამხედრო კომისიები—საფრანგეთის ადრიანოპოლში, ინგლისის—როდოსტოში და იტალიის ლიულებურგსში ინცინდენტების თავიდან ასაცილებლად.

ვენიზელოსი და მოკავშირეთა ნოტა.

ბორდო, 6 ოქტ. გაზ. „პტი პარიზიენის“ ცნობით ვენიზელოსი ფიქრობს, რომ ბერძნებმა უნდა მიიღონ წინადადება, რომელიც აღნიშნულია 23 სექტემბრის ნოტაში. ვენიზელოსი მოიხმარს მთელ თავის გავლენას, რათა გაადვილებულ იქნეს შეთანხმების მიღწევა.

საბერძნეთის ახალი კაბინეთი.

ბორდო. 6 ოქტ. კროკიდოსს ასახელებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ადგილზე, ხოლო ადმირალ კუნდურიოტისს საზღვაო საქმეთა მინისტრად.

კონსტანტინე მეფის გადადგომის აქტის დაკარგვა.

ბორდო. 3 ოქტომბერი. კონსტანტინე მეფის გადადგომის აქტი, რომელიც გაგზავნილი იყო დასაბეჭდათ სტამბაში, მოპარული იქნა აფიცრების მიერ, რომელნიც წინააღმდეგნი იყვენ მისი დაბეჭდვისა.

ანტანტა და გერმანია

საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარე ბარტუ.

ჰანოვერი. 6 ოქტომ. ნახევრად ოფიციალურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარედ დიუბუას ადგილზე იქნება ბარტუ.

ნაუენი. 6 ოქტომბ. გავასის სააგენტოს ცნობით იუსტიციის მინისტრი ბარტუ დანიშნული იქნება საფრანგეთის წარმომადგენლად საკონტრიბუციო კომისიაში.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებისათვის.

ნაუენი. 6 ოქტომბერი. გერმანიის კაბინეტმა კოალიციონურ პარტიებთან შეთანხმებით წინადადება მისცა რეიხსტაგს გერმანიის პრეზიდენტის არჩევა დაინიშნოს 3 დეკემბერს.

სხვა და სხვა ამბები

პოლონეთი

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ პოლონეთში.

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ ვარშავაში ძლიერდება. „ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის“ კავშირის საარჩევნო კრებები აკრძალულია. კავშირის წევრებს აპატიმრებენ.

ნორვეგია

პროფინტერნისადმი.

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. ნორვეგიის პროფკავშირთა კონფერენციამ დაადგინა ჩამოშორდეს ამსტერდამს და გაგზავნოს დელეგაცია საინფორმაციო მიზნით პროფინტერნის კონგრესზე.

იტალია

იტალიის პარტიებში.

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. იტალიის სოციალისტურ პარტიის კონფერენციაზე დიდი ხმის უმრავლესობით მიღებულია მაქსიმალისტების რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს რეფორმისტების პარტიიდან გამორიცხვას.

ფაშისტები ბაცენში.

ჰანოვერი 5 ოქტ. ბაცენში გრძელდება ფაშისტების ტერორი. ფაშისტები მოითხოვენ მთავრობის ჩარევას გერმანიის უმცირესობის გავლენის აღმოსაფხვრელად. ისინი აგრეთვე მოითხოვენ ბაცენის სათემო წარმომადგენლობის გაშვებას, მთავრობის კომისრის დანიშვნას და გერმანულ სკოლებში იტალიურ ენაზე სწავლებას.

ბაცენში ფაშისტებს ჰყავთ 500 დე მომხრეები.

ფაშისტების მოთხოვნილებანი.

ნაუენი. 5 ოქტ. ბაცენიდან იტყობინებიან, რომ ფაშისტებს ჰქონდათ სისხლის მღვრელი შეტაკება კარაბინერებთან და მცველებთან. იტალიის მთავრობა თავის ჯარებს აგროვებს ბაცენის მახლობლად.

ფაშისტები მოითხოვენ იტალიური ენის შემოღებას მთელს სამხრეთ ტიროლში.

დეპუტატი მუსოლინი იმუქრება სამხრეთ-ტიროლის დაკავებით, თუ მთავრობა არ მიიღებს ფაშისტების მოთხოვნილებას. ამავე დროს ფაშისტები მოითხოვენ ტრისტის მთავრობის გადადგომას.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

ამხ. ჩიჩერინის ჩამოსვლა.

მოსკოვი. 6 ოქტ. მოსკოვში დაბრუნდა გარეშე საქმეთა სახ. კომისარი ამხ. ჩიჩერინი და შეუდგა მიმდინარე მუშაობას.

საბჭოთა ტერიტორიაზე შესვლის დროს ამხ. ჩიჩერინს წითელ-არმიელებმა და მუშებმა გაუმართეს საზეიმო შეხვედრა.

მიტინგზე ამხ. ჩიჩერინს დახვდა მუშების და წითელარმიელების მრავალი ათასეული.

გადასახადი შემოსავლის კვალობაზე.

მოსკოვი. 6 ოქტ. ფინანსთა სახ. კომისარმა შეიტანა სახ. კომისართა საბჭოში პროექტი დადგენილებისა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღების შესახებ.

გადასახადები.

მოსკოვი. 6 ოქტ. უკანასკნელ 2 კვირის განმავლობაში სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები 21 პროცენტით მეტი შემოვიდა, ვიდრე წინა კვირეებში.

სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენა.

მოსკოვი 6 ოქტ. პეტროგრადში გაიხსნა სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენა.

ბალტიის ფლოტი.

მოსკოვი. 6 ოქტ. დიდი ხნის დასვენების შემდეგ, ბალტიის ფლოტის რამოდენიმე სამხედრო გემი გაემგზავრა საზღვარ გარედ.

გემები ინგლისიდან.

მოსკოვი. 6 ოქტ. ინგლისიდან საბჭოთა რუსეთში დაბრუნდა 9 გემი.

შრომის კანონების დარღვევისათვის.

მოსკოვი. 5 ოქტ. ბრიანსკი პასუხისმგებლობაში მიცემულია, მთელი რიგი მწარმოებელთა შრომის კანონი დარღვევისათვის.

— კიევში 16 მწარმოებელი მიცემულია პასუხისგებაში მოზარდთა შრომის ექსპლოატაციისათვის.

ნოვგოროდის მრეწველობა.

მოსკოვი. 5 ოქტ. ნოვგოროდის სამრეწველო ტრესტებმა დაარსეს წითელი სააქციონერო საზოგადოება ნახევარ მილიონი ოქროს მან. კაპიტალით.

სააქციონერო საზოგადოების შემოსავალი მოხმარდება ნოვგოროდის მრეწველობის აღდგენას.

უკრაინა

ოქტომბრის დღესასწაული

მოსკოვი. 5 ოქტ. უკრაინაში სწარმოებს დიდი მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის. განზრახულია წინად უმოქმედობაში მყოფ მთელ რიგ წარმოების ამუშავება და სასოფლო-მეურნეობის ახალ კოლექტივების დაარსება.

— ოქტომბრის წლის თავი ომსკში ფართოდ იქნება გამოყენებული არმიის და მშრომელი მასის კავშირის განმტკიცებისათვის.

ფრუნზეს განცხადება

მოსკოვი. 6 ოქტომბერი. უკრაინიდან ჩამოსულმა ფრუნზემ განაცხადა, რომ მთელს უკრაინაში სწარმოებს ომისაგან განადგურებული ადგილების და ქონების აღდგენა. ბანდიტიზმა დაჰკარგა ნიადაგი გლეხობაში ნატურ გადასახადის აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს საზამთრო ნათესის სივრცე ომის წინა დროინდელ ნორმას უახლოვდება.

სოციალური დაზღვევა.

მოსკოვი. 5 ოქტომბერი სოციალური დაზღვევის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. დამზღვევი კასები მოეწყო მთელს ბელორუსიაში, გარდა იგუმენის მაზრისა. კასებში გაერთიანებულია 20 000 მუშა მოსამსახურეზე მეტი. კასების სამმართველოებში არჩეულია უმეტესად კომუნისტები.

სლუცკში.

მოსკოვი. 5 ოქტ. ქალაქ სლუცკში შეკეთებულია ყველა სახლები. გაყვანილია ელექტრონი და ქუჩები მოკირწყლულია.

რუს. კომ. ახალ. კომ. კავშირის როსტოვის საგუბერნიო ყრილობა.

მოსკოვი 5 ოქტ. როსტოვში გაიხსნა რუს. ახალ. კომ. კავშირის მე 5 საგუბერნიო ყრილობა.

ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობა.

მოსკოვი. 5 ოქტ. ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობის სხდომაზე ტრანსპორტზე მომუშავეთა ცენტრალური კომიტეტის თამჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ კავშირის მუშაობის ძირითად მომენტებს შეადგენს: კავშირის ყოველ მხრივი მონაწილეობა ტრანსპორტის აღდგენის საქმეში, კავშირის წევრების ინტერესების დაცვა და მათთვის საჭირო სამუშაოს შესრულება.

ტრანსპორტზე მომუშავეთა ცენტ. კომიტეტმა გადასწყვიტა არ დაიჩქაროს მეზღვაურთა და რკინის გზელების შეერთება. რკინის გზელების და მეზღვაურთა ორგანიზაციების უმრავლესობა, მომხრე არიან ცალ ცალკე კავშირის არსებობისა.

— მოხალისე წევრობის კამპანია წარმატებით ჩატარდა. ტრანსპორტზე მომუშავეთა 90 პროც. ამ ჟამად კავშირის წევრთაგან შესდგება.. კავშირის კოლექტიური ხელშეკრულება მიმოსვლის სახ. კომისარიატთან ცოტას მოგვცემს სამუშაო ხელფასის გადიდების საკითხში, მაგრამ ის იქნება პირველი ნაბიჯი კავშირის მიმოსვლის სახ. კომისარიატთან დამოკიდებულების მოწესრიგებისა შრომის ხელფასის სფეროში.

ყრილობამ მოიწონა ტრ. მომუშ. ცეკას მუშაობა და დაადგინა მისალოცი დეპეშა გაეგზავნოს ამხ. ლენინს და წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს მოიწვიოს იგი ყრილობაზე.

ყრილობამ მიმართა მოწოდებით ყველა ქვეყნების ტრანსპორტზე მომუშავე პროლეტარიატს გაერთიანდენ პროფ. კავშირთა წითელ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

— დილის სხდომაზე 3 ოქტომბერს, მიმოსვლის სახ. კომისარიატმა ძერჟინსკიმ გააკეთა მოხსენება ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით დაზიანებულ ორთქლმავლების რაოდენობა შეადგენს 50 პროც. (გამოტოვებულია)... შემადგენლობის, ომის დროინდელ 17 პროც.-ის მაგიერ. მოძრავი შემადგენლობის კატასტროფიული მდგომარეობა აიხსნება მასალის, სათადარიგო ნაწილების და საშუალებათა ნაკლებობით. მიმდინარე წელს მიმოსვლის სახ. კომისარიატმა მიიღო საჭირო ფინანსების მინიმუმის ერთ მესამედზე ცოტა მეტი. აქედან, რასაკვირველია არ უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ რკინის გზები უცხოეთის კაპიტალს უნდა გადავცეთ. დეფიციტი უნდა დაიფაროს სახელმწიფოს საშუალებებით. მომხსენებელი მოუწოდებს ტრანსპორტზე მომუშავეებს იბრძოლონ მთელი თავისი ძალ-ღონით, ტრანსპორტისათვის საშინელ სენის—მექრთამეობის წინააღმდეგ.

ქრონიკა

✦ **პედაგოგიური ტეხნიკუმის გახსნა.** სახალხო განათლების სოციალური აღზრდის მთავარ მმართველობამ ქ. თბილისში (დიდი მთავრის ქ. № 91) გახსნა პირველი პედაგოგიური ტეხნიკუმი ორი წლის კურსით. მიიღებიან ტეხნიკუმში სამკლას კურს დასრულებულნი (ან ყოფ. სხვა საშუალო სასწავლებლის) ან ვინც სათანადო მისაღებ გამოცდებს ჩააბარებს. მსმენელნი სარგებლობენ ბინით, ჩვეულებრივი სამოქალაქო ულუფით და სტიპენდიით ყოველ თვიურად მილიონ ნახევარი მანეთით. სწავლა დაიწყება 20 ოქტომბერს. მსურველებმა უნდა მიმართონ ტეხნიკუმის გამგეს.

✦ **მუშა ძალის მოძრაობა 2 და 3 ოქტომბერი.** თბილისის შრომის ბირჟაში აღნიშნულია 1896 უმუშევრების გამოცხადება, მათ შორის 918 მამაკაცია და 908 ქალი. ხელახლა გატარებულია რეგისტრაციაში 269 უმუშევარი, მათ შორის 197 მამაკაცია და 72 ქალი მოთხოვნილება მუშა ხელზე შემოვიდა 111, მათ რიცხვში მამაკაცებზე 78 მოთხ. ხოლო ქალებზე—24 მოთხ. გაიგზავნა სამუშაოზე 102 უმუშევარი, მათ შორის 75 მამაკაცი და 27 ქალი.

✦ **ცნობები ტეხნიკუმების შესახებ.** პროფესიონალურ განათლების მთავარმა განყოფილებამ წინადადება მისცა ტეხნიკუმების ყველა გამგეებს, წარმოადგინონ სასწრაფოდ ცნობები ტეხნიკუმების პირად შემადგენლობის შესახებ, ცენზის სტაჟს, საგნების რიცხვების, და კვირაში სამეცადინო საათების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ცნობა თვითეულ კლასში მოწაფეების რიცხვის შესახებ, როგორც ძირითადში, ისე პარალელურში.

✦ **განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა სახლთან მოეწყო საინფორმაციო საკონსულტაციო ბიურო, რომლის მიზანია ემსახუროს განათლების მუშაკთა ცნობების მიცემით, დარიგებით და ჩვენებით სხვა და სხვა პედაგოგიურ საკითხებზე, დანიშნულია მიღების საათი. დაწვრილებითი ცნობები განათლების მუშაკთა სახლში (კოლუბანის ქ. № 3).

✦ **უმუშევრების დაზღვევა** ცენტრალური შრომის ბირჟა აწარმოებს (ცნობების მოგროვებას კავშირებიდან იმის შესახებ, თუ რამდენი უმუშევარი უნდა იქნეს დაზღვეული სექტემბრისათვის. ამ ცნობების მიხედვით საბჭოთა მუშაკების კავშირში იძლევა 150 კ. სახალხო კვების კავშირში—80 კაცი., გამოკვების კავშირში—150 კაცი. ტრანსპორტელების კავშირში —80 კაცი, მეღვინეების—80 კაცი. მეტყავეების—40 კაცი., კომუნალური მეურნეობის მუშაკების—10 კაცი., მიწა-ტყეს—20 კაც. სახალხო კავშირს—10 კაც., ფეიქრების—40 კაცი მკერვალების—40 კაცი., სააღმშენებლო კავშირში—30 კაცი., ხის დამმუშავებელთა კავ.—20 კაც. ხელოვნების მუშაკთა—20 კაც. განათლების მუშაკთა—30 კაც. მემალაროების—10 კაც., მეჭედავების—20 კაც., საექიმო სანიტარულ კავ.—20 კაც., სულ სექტემბრისათვის უნდა დაიზღვეს 850 უმუშევარი.

რკინის გზელთა შორის.

✦ **რკინის გზელების ბავშვების მიღება სამსახურში.** რკინის გზელთა თბილისის საუბნო პროფკავშირის პლენუმმა დაადგინა, რომ რკინის გზელთა ბავშვები, რომლებიც ეძებენ სამუშაოს, უნდა გატარდენ ცენტრალურ შრომის ბირჟის მოზარდთა ბიუროს რეგისტრაციაში და მოთხოვნილების სამუშაოზე გაიგზავნონ რიგის გარეშე.

✦ **დახმარება უმუშევრებისადმი** თბილისის საუბნო რკინის გზელთა კავშირის პლენუმის დადგენილებით უნდა აღმოეჩინოს უმუშევართა ფონდის საშუალებით.

✦ **მუშა ძალის აღრიცხვის სექცია.** მოისმინა რა მოხსენება რკინის გზელთა მუშა ძალის აღრიცხვის სექციის მუშაობის შესახებ, თბილისის საუბნო რკინის გზელთა კავშირის პლენუმმა დაადგინა: ეთხოვოს რკინისგზელთა პროფკავშირს გააძლიეროს მუშაობა ცენტრალურ სატრანსპორტო სექციაში, ხოლო შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—გაგზავნონ სექციაში პასუხისმგებელი მდივანი მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ამასთან ერთად დაარსდა კომისია, უმუშევრების რეგისტრაციაში გასატარებლად.

ხელოვნება

— **ქართველ მწერლების წიგნები წერა კითხვის გამავრც. საზ. მაღაზიაში.** წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი, სახელმწიფო თეატრის „ორიანტის“ ქვეშ) იყიდება საზოგადოების მიერ ახალი გამოცემული შემდეგი ბელეტრისტული წიგნები: შ. არაგვისპირელისა—1, 2, 3 და 4 წიგნი; ლ. არდაზიანისა—სოლომონ ისაკიჩ მეჯ[illegible] ბარნოვისა—თხზულება[illegible] ტ; ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი—1 ტ. „მოლიპულ გზაზე“ (რომანი), 2 ტ. „ბედის ტრიალი“ (რომანი), და „ეკლესიის გალავანში“ (მოთხრობა); ვაჟა ფშაველასი—ბახტრიონი, გველის მჭამელი; ზოტიკე—ახალი ტალღები; დ. კლდიაშვილისა—მოთხრობები 1 და მე-2 ტ.; ლალიონისა—მოთხრობები; მელანია-ბნელისა—მოთხრობა; ე. ნინოშვილისა—თხზულებანი 1, 2 და 3 ტ; შოთა რუსთაველის—ვეფხისტყაოსანი, შინაარსით და ვრცელის ლექსიკონით დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. ალ. ყაზბეგის—ელისო, ელგუჯა; ი. შავთელის—აბდულმესიანი, მ. ჯანაშვილის რედაქტორობით; კახელის—გურგენ რაინდი—პოემა; ილია ჭავჭავაძისა—გლახის ნაამბობი, კაცია ადამიანი, ოთარაანთ ქვრივი, მგზავრის წერილები, განდეგილი, სახრჩობელაზედ და კაკო ყაჩაღი. დ. ჭონქაძისა—სურამის ციხე; გ. წერეთლისა—კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა, პირველი ნაბიჯი, მამიდა ასმათი და რუხი მგელი.

— **მხატვარ დ. კაკაბაძის ჩამოსვლა.** განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით, მხატვარ დ. კაკაბაძის პარიზიდან დასაბრუნებლად მატერიალურ დახმარების აღმოჩენის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს ამ მიზნისათვის 50 გირ. სტერლინგი.

— **დამსახურებულ ხელოვანთათვის პენსიის დანიშვნა.** განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენებისამებრ, მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის დამსახურებულ მოღვაწეთათვის მუდმივი პენსიის დანიშვნის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: დამტკიცებულ იქნეს განსაკუთრებულ კომისიის მიერ წარმოდგენილი პენსიონერთა სია, რომლის შეცვლისა და დამატების უფლება ეძლევა განათლების სახალხო კომისარიატს თავის შეხედულებისამებრ, ხოლო იმ ანგარიშით, რომ პენსიონერთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 150. პენსიის რაოდენობა დაწესებულია პირველ კატეგორიისათვის—3.000.000 მანეთი, მეორე კატეგორიისათვის—2.500.000 მან. და მესამისათვის—2.000.000 მანეთი, განათლების სახალხო კომისარიატს აგრეთვე უფლება ეძლევა პროპორციულად გადასინჯოს პენსიონერთა სია და გადაიყვანოს პენსიონერები ერთი კატეგორიიდან მეორეში.

— **თეატრალური ჟურნალი.** მსახიობთა ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს გამოსცეს თეატრალური ჟურნალი.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია

სხდომა მეორე

სხდომა იწყება 11 საათ. და 30 წუთზე. თავმჯდომარეობს **თ. კალანდაძე.**

კალანდაძე ამხანაგებო, მეორე სესიის მეორე სხდომას გახსნილად ვაცხადებ. სიტყვა ეკუთვნის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ ამხ. მახარაძეს.

ამხ. მახარაძე. ამხანაგებო, როგორც თქვენ იცით, ამა წლის მარტის პირველ რიცხვებში საბჭოთა პირველ ყრილობაზე არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი. პირველი სხდომა აღმასრულებელი კომიტეტისა მოხდა 7 მარტს, რომელზედაც არჩეული იყო, ერთი მხრით,—აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი და, მეორეს მხრით,—სახალხო კომისართა საბჭო. შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, აპრილის 12 ს მოწვეულ იქნა საგანგებო სესია აღმასრულებელი კომიტეტისა. ამნაირად ჩვენი აღმასრულებელი კომიტეტი არსებობს, დაახლოვებით, 7 თვე. რა გააკეთა მან ამ ხნის განმავლობაში? რა თქმა უნდა, დაწვრილებითი ანგარიში პრეზიდიუმის მუშაობისა წარმოდგენილი იქნება სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობაზე. იქ, მოხსენებული იქნება არა მარტო პრეზიდიუმის მუშაობაზე, არამედ სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობაზედაც. მიუხედავათ ამისა, სესიის დღევანდელ კრებაზე ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია დაწვრილებითი ანგარიში თუ არა მოკლე ცნობები მაინც წარმოვადგინოთ იმის შესახებ, რაც, ასე თუ ისე, გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში. ეს უზენაესი ორგანო საბჭოთა რესპუბლიკისა, თავის თავად იგულისხმება, ამხანაგებო, რომ ყველასათვის არ იყო გამორკვეული, სავსებით მაინც, რომელი ამ უზენაესი ორგანოსი. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის უზენაესი ორგანო საკანონმდებლო და ფართო საკონტროლო ფუნქციებით აღჭურვილი ყოველ შემთხვევაში ასეთი აზრი, ასეთი შეხედულება, პირველ დღეებში მაინც, ყველასათვის ნათელი და აშკარა არ იყო. შემდეგ ეს შეხედულება კი თანდათან განმტკიცდა უნდა მოგახსენოთ ამასთანავე, რომ პირობებში, თუ შეიძლება ასე ითქვას გამოცვლილ პირობებში: ერთის მხრით იყო ეს ახალი უზენაესი ორგანო და მეორე მხრით თქვენც კარგად უწყით, შემოღებულ იქნა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია. ამ გვარად, გაჩნდა კიდევ ახალი უმაღლესი ორგანო. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, როცა ერთსაც და მეორესაც უხდება თავისი მოქმედებით განვითარება სულ ახალი გზით და მიმართულებით შესაძლებელი იყო ზოგიერთი გაუგებრობანი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რაიმე დიდ გაუგებრობას აქ ადგილი არ ქონია. ჩვენც და ისინიც ვიკვლევდით, ვკაფავდით გზას მაგრამ არსებითად ეს ორგანოები ერთი და იგივე ხელისუფლების ორგანოები იყვნენ. აქ კონკრეტიულად უნდა გავხაზო და შევაჩეროთ თქვენი ყურადღება იმაზე, რომ მართალია ამბობენ, რომ ჩვენ მდიდრები ვართ მომუშავე ხალხით, თითქოს ბევრი მუშაკები მოგვეპოვება, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ჯერ-ჯერობით არა გვყავს საჭირო რაოდენობა მომზადებული მუშაკებისა. სხვაზე რომ არა ვთქვა რა, კერძო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ შევეხოთ, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ არ გვქონია ისეთი სხდომა, რომელზედაც, არამც თუ ყველა წევრები, არამედ ნახევარი რიცხვი წევრებისა მაინც დასწრებოდა. რა თქმა უნდა, მე იმას არ ვამბობ, რომ ისინი მოცლილები იყვნენ და პირადი საქმეების გამო არ დადიოდენ პრეზიდიუმის სხდომებზე; რასაკვირველია არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, მხოლოდ თითეული წევრებთაგანი ზედმეტად დატვირთული იყო სხვა და სხვა საქმეებით. აი მიზეზი იმისა, რომ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები თითქმის ერთხელაც არ შემდგარა მთელი თავისი შემადგენლობით. რაში გამოიხატება ჩვენი მუშაობა. მე არ გამოუდგები აქ ამ ანგარიშების აღნუსხვას დაწვრილებით. ეს გაკეთდება მომავალ ყრილობაზე, რომელსაც წარუდგება დაბეჭდილი ანგარიში. მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთ დიდ მნიშვნელოვან ფაქტებზე, და მოგახსენებთ, რომ ჩვენი მუშაობა მე მესმის ორნაირად: პირველ მხარეს ჩვენ მუშაობისას შეადგენს პრეზიდიუმის სხდომები, მისი ოქმები, მისი დადგენილებები, მის მიერ გამოცემული დეკრეტები და ბრძანებები ე. ი. ის მხარე, რომელიც გარეგნულად გამოხატავს პრეზიდიუმის მუშაობას. არის კიდევ მეორე მხარე პრეზიდიუმის მუშაობისა, რომელიც არავითარ ოქმებში და პრეზიდიუმის სხდომებში არ მოთავსდება. ეს მეორე გვარი მუშაობა არის ის, რაც თვალით არა სჩანს, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა კი აქვს. პრეზიდიუმის მიერ გამოცემულ დადგენილებებსა, დეკრეტებს შორის ჩვენ შეგვიძლია თქვენი ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ზოგიერთებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ქონდათ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. ეს იყო **გადასინჯვა, გარდაქმნა სახელმწიფო აპარატისა.** შემდეგ დიდი ხნის ნაწვალ-ნავაგლახები საკითხი,—დეკრეტი, ეგრედ წოდებულ **სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის მოწყობის** შესახებ. გარდა ამისა საყურადღებო და საჭირო იყო მოწესრიგება **ნატურალური გადასახადის ახალი დებულების** ცხოვრებაში გატარების. აგრეთვე იცით, რომ ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა **მიწის მოწყობის დებულებას.** გარდა ამისა, ბევრი დადგენილებები და დეკრეტები არის რომელთა შესახებაც მე არ შევაჩერებ თქვენ ყურადღებას. მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ჩვენი მთავარი აზრი იყო პრეზიდიუმის მოწყობისთანავე გაგვეხილა და გაგვერკვია წარსული საკანონმდებლო აქტები და სწორედ ამ მიზნით პრეზიდიუმის პირველი სხდომის შემდეგ არჩეულ იქნა შესაფერი კომისიები.

უნდა მოგახსენოთ რომ ამ ხნის განმავლობაში სხვა და სხვა დროს ჩვენ შევქმენით 6 კომისია, რომელთაც არ ჰქონიათ მარტო დროებითი ხასიათი, არამედ ქონდათ, ცოტად თუ ბევრად, ხანგრძლივი, თითქმის მუდმივი ხასიათი სანამ დანიშნულებას არ შეასრულებდენ. პირველი კომისია იყო **სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის კომისია.** მეორე **კომისია მოეწყო ყველა გამოცემულ დეკრეტების გადასასინჯავად და შესამოწმებლად.** ზოგიერთი დეკრეტები უნდა გაუქმებულიყო, ხოლო დანარჩენი უნდა შესწორებულიყო და შეტანილიყო კოდექსში. მესამე კომისია იყო **საბიუჯეტო საფინანსო კომისია.** მეოთხე კომისია დაარსდა **სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზიისათვის,** მეხუთე სპეციალურად **ციხეების და საინვალიდო სახლების** გადასინჯვა დათვალიერებისათვის, მეექვსე იყო **საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის კომისია;** მეშვიდე კომისია და უკანასკნელი—**სისხლის სამართლის კოდექსის** აგრეთვე დებულებების **პროკურატორის** და **ადვოკატურის გადასინჯვა.** უნდა მოგახსენოთ, რომ სამწუხაროთ ყველა კომისიამ ვერ დაასრულა თავისი მუშაობა პირველმა კომისიამ ე. ი. სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის კომისიამ, მართლაც ნაყოფიერად იმუშავა. თითქმის ორი თვე გასტანა მისმა მუშაობამ და თქვენ იცით, რომ მას ქონდა დიდი შედეგი იმ მხრით, რომ გადასინჯა ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა შტატები, მოსამსახურეების სია და თითქმის განახევრა, შეამცირა და სახელმწიფოს ჩამოართვა იმათი რჩენა. მეორე კომისიის საქმეს შეადგენდა წინანდელ გამოცემულ დეკრეტების გადასინჯვა. ამ კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა მაგრამ სამწუხაროდ თავისი ანგარიში წარმოადგინა ამ დღეებში და პრეზიდიუმმა ვერ მოასწრო მისი განხილვა. მაგრამ მთელი ეს მუშაობა დამთავრებულია, საჭიროა მხოლოდ მისი დამტკიცება. და როგორც მოგახსენებთ დიდი აზრი ამ კომისიისა მდგომარეობს იმაში, რომ უვარგისი დეკრეტები, რომელმაც მოჭამა თავისი დრო, უნდა გაუქმებულ იქნენ, ხოლო დანარჩენი დეკრეტები შესწორებული და შეტანილი კოდექსში. მესამე კომისია, რომელმაც ასე თუ ისე გამოიჩინა მუშაობის უნარი, იყო ციხეების და საინვალიდო სახლების დათვალიერება. ამ კომისიამ მართლა ენერგიულად იმუშავა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ დაამთავრა თავისი მუშაობა.

არა გვგონია, რომ საჭირო იყოს აქ იმის აღნუსხვა თუ რა იყო შედეგი ამ კომისიის მუშაობისა—ვიტყვი, მხოლოდ, რომ მას მოყვა შედეგათ გაუმჯობესება ციხეების და მეორეს მხრივ განთავისუფლება დატუსაღებულებისა. **მეოთხე კომისია,** რომელმაც ხელი მოკიდა მუშაობას, ეს იყო საეკლესიო განძეულობის ჩამორთმევის კომისია. კომისია ავირჩიეთ მოგვიანებით,—მაისის პირველ რიცხვებში. პრეზიდიუმში წარმოდგენილია აქტები, შედგენილი კომისიის მიერ, მაგრამ ეს არის მხოლოდ ნედლი მასალა, რომელიც ამ დღეებში იყო წარმოდგენილი და რომელსაც ჩვენ დღეს ვიკვლევთ; ერთი თვე მაინც არის საჭირო, რომ ამ მასალის მიხედვით გამოვიკვლიოთ რა ყოფილა სხვადასხვა ეკლესიებში, ამასთანავე, როგორც გადმოგვცემს კომისიის თავმჯდომარე ამხ. თოდრია, კომისიას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი მუშაობა. დაგვრჩა ორი კომისია: **საფინანსო—საბიუჯეტო კომისია,** რომელსაც უნდა შეემუშავებია გეგმა ჩვენი ფინანსიური მუშაობისათვის. ეს კომისია არც ერთხელ არ შეკრებილა მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდიუმი მრავალჯერ აუწყებდა მას, რომ შესდგომოდა მუშაობას. მეორე კომისია, რომელსაც აგრეთვე არაფერი გაუკეთებია,—ეს არის სახელმწიფო დაწესებულებათა რევიზიის კომისია. უნდა მოგახსენოთ ამხანაგებო, რომ ეს რევიზია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მართალია, არსებობს მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მაგრამ თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენი დაწესებულებები მაინც საჭიროებენ, რომ საფუძვლიანად იქნას გამოკვლეული ის, რასაც ისინი აკეთებენ. ეს არ შეიძლება მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლიოს, ეს შეუძლია უზენაეს ორგანოს მიერ დანიშნულ რევიზიას. ეს რევიზია არ მოხდა; უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ ვერ ვიშოვეთ ისეთი ამხანაგები, სერიოზულად მომზადებულნი, რომელთაც ექნებოდათ სათანადო ავტორიტეტი. ჩვენ პირველათ დავასახელეთ ამხანაგები: **ორახელაშვილი და ჟუჟუნაშვილი,** მაგრამ სამწუხაროდ ორახელაშვილი დარჩა მეტად დატვირთული სხვადასხვა მუშაობით და უარი განაცხადა. მაშასადამე რევიზიის საკითხი ისევ წინ გვიდგას. რა თქმა უნდა, როცა საშუალება გვქონდა რევიზიას ჩვენ ვნიშნავდით რევიზიას; ახლაც აქვს მინდობილი რამდენიმე რევიზიის გაკეთება ამხ. ჟუჟუნაშვილს. რაც შეეხება მეშვიდე კომისიას, რომელზედაც მე მოგახსენეთ, ეს იყო ამ დღეებში დანიშნული, სისხლის სამ. და სხვა დებულებების გადასინჯვისათვის, მან დაამთავრა თავისი მუშაობა.

რაც შეეხება შინაურ მუშაობას პრეზიდიუმისას, საკანცელარიო მუშაობას, მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ არ მიმთხოვთ ამის ანგარიშს. ვიტყვი მხოლოდ, რომ გარდა ამ მუშაობისა, აურაცხელია სხვა სამუშაოც; თითქმის ყოველ მხრიდან როგორც დაწესებულებებიდან, ისე კერძო პირებისაგან შემოდის აურაცხელი საჩივრები, თხოვნები, არა თუ წერილობით, არამედ სიტყვიერათ, პირადათ; თავმჯდომარეს, განსაკუთრებით. არავითარი შეძლება არა აქვს, რომ ყველა ეს სიტყვიერი განცხადებები მოისმინოს და დააკმაყოფილოს. ამავე დროს ჩვენ ვგრძნობთ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამას ანგარიში არ გაუწიოთ, ჩვენ ისე ვერ მოვიქცევით, ფორმალურად, ვერ ვიტყვით უარს, სანამ არ მოვისმენთ რაშია საქმე, შეიძლება სულ უბრალო საქმე იყოს, ზოგჯერ სასაცილოც კიდეც, მაგრამ სანამ, არ მოგისმენია უარის თქმა ყოვლად შეუძლებელია. ასეთ პირობებში ნაყოფიერი, დამშვიდებული დამჯდარი მუშაობა მეტად ძნელია, და შეუძლებელიც იმიტომ, რომ როგორც თქვენ იცით, ცხოვრება ჯერ კიდევ კალაპოტში არ არის სავსებით ჩამდგარი. თქვენ იცით რომ თვითეული წარმომადგენელი საბჭოთა ხელისუფლებისა საჭიროთ სთვლის თავისი მეობა გამოიჩინოს, თითქოს ის იყოს ყველაფერი, რა თქმა უნდა ასეთ პირებთან მეტად ძნელია მუშაობა და მეორე მხრით თქვენი უზენაესი ორგანოს დანიშნულება ისეთია, რომ მან აუცილებლად უნდა იცოდეს თუ სად რა ხდება.

ამიტომ მე ვამბობ, რომ ყველა იმ განცხადებებს, შუამდგომლობებს, რომლებიც ჩვენ მოგვდის, არა თუ წერილობით, არამედ სიტყვიერათაც ვერ ვტოვებთ უყურადღებოთ. ამისათვის, ჩემ პირად, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის დანიშნულებას, უმთავრესად მე ამაში ვხედავდი თავიდანვე, რომ ყურადღება მიმექცია პროვინციისათვის. ჩვენი პროვინცია, მართალია, დიდი არ არის, პატარაა თვით ეს ქვეყანა, რომელსაც საქართველოს ვეძახით, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც გვაქვს ბევრი მივარდნილი კუთხე. არა თუ თიანეთი, ხევსურეთი, სვანეთი, ახალქალაქი და სხვა, თვით აქაც თბილისის იგვლივაც არის ჩვენთვის უცნობი და მივიწყებული ადგილები. სამწუხაროდ ჩემი განზრახვა, რომ როგორც წარმომადგენელს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, დამეთვალიერებია ასეთი კუთხეები, ამ ხნის განმავლობაში სავსებით ვერ შესრულდა. განსაკუთრებით მე ვფიქრობდი დამეწყო თბილისის მაზრიდან, მაგრამ, მე მგონია, თქვენ იცით, თუ რამდენად საძნელო არის ეს. ჯერ ერთი ის გარემოება, რომ ყველა ჩვენთაგანს, მე მარტო ჩემ თავზე არ ვიტყვი—ყველა ერთსა და იმავე დროს, მრავალი მოვალეობის ასრულება გვიწევს. თუ განთავისუფლდები ერთი მოვალეობისაგან, ვერ განთავისუფლდები მეორისაგან, თუ განთავისუფლდები მესამისაგან, ვერ განთავისუფლდები მეოთხისაგან და ასე. აი ჩვენი მუშაობა ასეთ პირობებში სწარმოებდა. ყოველ შემთხვევაში ამ ხნის განმავლობაში მე მაინც მოვახერხე დამეთვალიერებინა რამოდენიმე რაიონი. პირველ ყოვლისა, ეს იყო მაისში, როდესაც ჩვენ—საგანგებო კომისიამ,—დანიშნულმა სხვადასხვა ადგილებში სარწყავი არხებისა და დაშრების სანახავათ, გავემგზავრეთ და ვინახულეთ სიღნაღის მაზრის ერთი რაიონი, შემდეგ ქუთაისის მაზრა, შორაპნის მაზრის ერთი კუთხე, გორის მაზრის რამდენიმე რაიონი და დუშეთის მაზრის პატარა რაიონი. შემდეგ ზაფხულში, როდესაც შვებულობაში ვიმყოფებოდი, მე მომიხდა ნახვა ორი მაზრისა—ახალქალაქის და ახალციხისა, მართლაც ჩვენთვის აქამდი სრულიად უცნობი მაზრებისა. უნდა მოგახსენოთ, რომ უბრალო ნახვასაც კი ცენტრალურ კომიტეტის სახელით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მე ვგრძნობდი თუ რამდენად საჭირო და სასარგებლო ასეთი ნახვა ადგილობრივად. ვერავითარ წარმოდგენას იმაზე, რასაც თითონ შენის თვალით არ ნახავ, ვერ იქონიებ. ვერავითარი მოხსენება ვერც დაწერილი და ვერც სიტყვიერი, ვერ გადმოგცემს იმას, რაც ნამდვილში ხდება. მაშასადამე მთელი ჩემი მუშაობის ანგარიშს რასაკვირველია ვერ წამოგიდგენ[illegible] დარწმუნებული ვარ რომ ასეთი მოხსენება გაკეთდება მომავალ ყრილობაზე. ეხლა კი მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება არა ჩვენ მუშაობას, არამედ მეორე მხარეს—ჩვენ [illegible]ნაურ მდგომარეობას და განწყობილებას.

მუშათა ცხოვრება

ქალაქის აღმასკომში

ისეთი დაწესებულება, როგორიცაა ქალაქის აღმასკომი, სამწუხაროთ ყოველთვის არ იცავს შრომის კანონებს. მაგალითად ყოველი დაწესებულება ვალდებულია საჭირო მუშა ხელი მოითხოვოს შრომის ბირჟიდან. ვალდებულია ასე მოიქცეს ქალაქის აღმასკომიც. ალბად ზოგიერთ უფროს მოხელეების წყალობით იქ ეს კანონი სავსებით არ სრულდება. ამას წინათ ქალაქის აღმასკომი დაათვალიერა შრომის ინსპექტორმა და აღმოაჩინა, რომ იქ 20 მოსამსახურეა მიღებული შრომის ბირჟის გარეშე. საჭიროა ასეთი მოსამსახურეები დაუყონებლივ იქნენ მოხსნილი. ნაცნობობით და შინაურულად მიღებას შეუძლებელია გასავალი დარჩეს. ეს მით უფრო არ უნდა მოხდეს, რომ შრომის ბირჟაში მრავალი უმუშევარია ჩაწერილი და სამუშაოს მოელოდება. ასევე უნდა იქნას ამ მხრივ გამოკვლეული ყოველი დაწესებულება. კანონი და წესი იმისთვის იწერება, რომ ის ცხოვრებაში განხორციელდეს. ეს უნდა იცოდეს როგორც ყველა დაწესებულებამ, ისე შრომის ბირჟის გარეშე ადგილის მაძებარი მუშამ.

უმუშევარი ც. ა.

წისქვილებში მომუშავეთა შორის

ჩვენი დარგის მუშები იმ თავიდანვე ჩამორჩენილნი იყვნენ. მენშევიკების დროს ჩვენ მუშათა ოჯახში არც შევდიოდით არავითარ მუშათა ორგანიზაციაში არ ვითვლებოდით, და არც არავითარი უფლება ვრცელდებოდა ჩვენზე. მენშევიკები სრულებით არ გვაქცევდენ ყურადღებას და თავს არ იწუხებდენ, რომ ჩვენში გავრცელებია შეგნება და განვითარება.

მაგრამ აი საბჭოთა წესწყობილების დროს დიდი ყურადღება მოგვექცა. ჩვენი დარგის მუშები შეკავშირებულ და გაერთიანებულ იქნენ.

ჩვენში გაჩაღდა დიდი ხასიათის კულტურულ განმანათლებელი მუშაობა. არსებობს წისქვილებში მომუშავეთა კლუბი, არსებობს სკოლა. ვითვლებით კავშირის წევრებათ და სხვა.

მუშაობა გვიხდება მეტად მძიმე პირობებში. ნამეტურ ზამთარშია ძნელი ჩვენს დარგში მუშაობა წყალზე ვართ და ყოველ მხრივ ქარი გვიბერავს. სასურველია, შრომის ინსპექცია ფიხიზელ ყურადღებას დაიჭერდეს, რათა შრომის კანონები ჩვენში სისრულით განხორციელდეს.

უბრალო.

კონსერვების ქარხანა

საქართველოს ტრანსპორტნიკების მომხმარებელ საზოგადოებას აქვს კონსერვების ქარხანა. ამ ქარხანაში მუშა ხელი ბლომად მუშაობს. მუშაობა გაცხოველებული ტემპით სწარმოებს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ერთობ მცირე ხელფას ვიღებთ—400 ათას. არ ვღებულობთ არც პურს და არც სხვა სურსათს. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რამდენათ გავიტანთ თავს დღევანდელ სიძვირის ხანაში 40 ათასი მანეთით. იმან რაღა უნდა ქნას ვისაც ოჯახში სარჩენი ყავს კიდევ.

ზოგიერთი მუშა 8 საათზე მეტს მუშაობს. მუშაობის პროცესში ხშირად ქანგიან თუნუქით ვიჭრით ხელს. ქარხანასთან არ არსებობს რაიმე ისეთი, რომ ბინტსა და იოდს გვაძლევდენ ხელის შესაკრავათ. მივაქცევთ შრომის დაცვის განყოფილების ყურადღებას ამ გარემოებაზე.

მუშა ქალი.

კანფეტების ფაბრიკა

სასამართლოს ქუჩაზე № 36 არსებობს კანფეტების ფაბრიკა. ფაბრიკა ეკუთვნის ვინმე რუბენ ავაკიანს. ის დიდ მოხერხებულებას იჩენს შრომის კანონების დარღვევაში. ავაკიანი ძველი დროის ტიპიური ექსპლოატატორია. აი ფაქტებიც: მასთან მუშაობს მოზარდეები. კანონით მოზარდეებმა უნდა იმუშაონ დღე ღამის განმავლობაში 6 საათი. აქ მუშაობენ 9 საათს და კიდევ მეტს. მოზარდეები მიღებულია შრომის ბირჟის გარეშე. შრომის ინსპექტორმა რამდენჯერმე გააფრთხილა ავაკიანი, მაგრამ ის ამ გაფრთხილებას ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს მოზარდეების შრომის ექსპლოატაციას. მოზარდეებს არავითარ გასამრჯელოს არ აძლევს. მხოლოდ აჭმევს და ასმევს. მოზარდეები დარიგებული ყავს თუ ვინმემ გკითხოთ გადაეცით რომ 1 მილიონ მანეთს ვღებულობთო.

ამავე ავაკიანმა დაითხოვა მუშები. მიიღო მის მაგივრად თავის ნათესავები. არც დათხოვის და არც მიღების დროს შრომის კანონები არ დაუცავს. ნათესავებს იმიტომ იყენებს რომ ამ გზით ლამობს ზღვეულების ფულის შეტანისაგან განთავისუფლებას. ასეთი სამაგალითო ექსპლოატატორისათვის არ კმარა მარტო დაჯარიმება, საჭიროა მისი სამაგალითოთვე დასჯა.

ვინმე.

ქარხანა „ტერზა"

ეს ქარხანა კარგად არის მოწყობილი. ქარხანაში მუშაობს სულ 120 კაცი. მუშები აქ დიდ თაოსნობას და გამჭრიახობას იჩენენ. ამით აიხსნება, რომ ქარხანასთან მუშებისათვის არსებობს სასადილო, კლუბი, სკოლა, აქვთ მუსიკა. ტეხნიკურ სანიტარულ პირობების მხრივაც ქარხანა სამაგალითოთ არის მოწყობილი, ქარხანასთან საკუთარი საპარიკმახეროც კია მოწყობილი. ყოველივე ამაში დიდი ენერგია და სიყოჩაღე გამოიჩინა ქარკომმა. ქარკომს მუშები გვერდში უდგანან და ყოველ საქმეში ეხმარებიან.

კარგი იქნება ამ მაგალითს სხვა ქარხნებიც მიბაძავდენ.

მუშა.

უწყებები

პარტიული

ისტორიის შესასწავლად

ბიურო სთხოვს პარტიის ყველა ძველ წევრებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამის მუშაობაში. გზავნონ მის განკარგულებაში მყოფი მასალები მოგონების, მემუარების, მონოგრაფიების და სხ. სახით.

ბიურო ფიქრობს გამოსცეს მთელი რიგი პერიოდულ კრებულებისა, რომელიც შეეხება ქ. ტფილისის კომუნისტურ ორგანიზაციების ისტორიის სხვა და სხვა მომენტებს.

(5—4) პარტიის ისტორიის ბიურო.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი აცხადებს, რომ შაბათს, 7 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ტფილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 22) დანიშნულია

ქ. ტფილისში მყოფ პოლონელ-კომუნისტების საერთო საქალაქო კრება.

ყველა პოლონელ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

(2—2) ტფილისის კომიტეტის მდივანი—**კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომლებიც განაგებენ პოლიტიკურ წრეებს გამოცხადდენ

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების სხდომაზე, შაბათს, დღის 12 საათზე.

დღის წესრიგი: ანგარიში ხელმძღვანელების მუშაობისა, შემდეგი მუშაობის გეგმა სკოლებში და იაჩეიკებში. კრება მოწვეულია მესამეჯერ და რაიკომებს ევალებათ მიიღონ აქტიური ზომები, რომ წრეების ხელმძღვანელები გამოცხადდენ ამ კრებაზე.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაციის, შემოწმების და გაწმენდის

ცენტრალური კომისია

აცხადებს, საქართველოს კომპარტიის ყველა წევრთა საყურადღებოთ, რომ რეკომენდაციების და ავტობიოგრაფიების წარდგენის დროს საჭიროა იხელმძღვანელონ რუსეთის კომპარტიის მე-11 ყრილობის დადგენილებით, რომლის თანახმად ინტელიგენტებმა უნდა წარადგინონ 5 წლის სტაჟიანი ამხანაგების რეკომენდაციები, მუშებმა კი 3 წლის სტაჟიანი ამხანაგების რეკომენდაციები.

შემმოწმებელ კომისიის ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარე **გორობჩენკო.**

(1—1) მდივანი: **პავლენკო.**

კვირას, 8 სექტემბერს დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში გაიმართება

საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. **რუბენი.**

2—1

პროფესიონალური

ორშაბათს, 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირების საბჭოს დიდ დარბაზში (შესავალი ბარიატინსკის ქუჩიდან) შესდგება:

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულ პლენუმის სხდომა, კავშირების ცენტრალურ გამგეობების, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილკომების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება სრულიად-რუსეთის მე-5-ე ყრილობის მუშაობის შესახებ—(ამხ. ნუცუბიძე), 2) დედობრივობის და ბავშობის დაცვის შესახებ—(ამხ. მარკოსოვი), 3) მიმდინარე საქმეები საკითხების მნიშვნელოვანობის გამო, წინადადება ეძლევა ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს აცნობონ, როგორც პლენუმის წევრებს, ისე ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს და ადგილკომებს, აღნიშნულ სხდომაზე დასწრების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **გუგუშვილი.**

3—2

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ მუშათა ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე მიღება

შეწყვეტილია, ხოლო ქართულზე—გრძელდება.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების

(2—2) გამგე— **მ. ეხხენი.**

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებები

თბილისის ქალაქის აღმასკომის

გადასახადთა

ბიურო

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 12 ამა ოქტომბერს დღით 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მუდმივი სადგომი ეზოზე (ბაკზე) მდებარე კახ. ქ. № 58—59.

კანდიდაციის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საიჯარო მაგიდის გამგესთან. (კრ 280—5—1)

* * *

ქალ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის

გადასახადთა

ბიურო

აცხადებს,

რომ შაბათს, 7 ოქტომბერს, დღის 12 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ბაკზედ მდებარე ჰოდვოდნი შეს. № 6.

კანდიდაციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მე-50 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგესთან.

(კრ. 375—2—2)

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში გიორგი ალექსანდრეს ძე მირზაშვილს, როგორც მოპასუხეს მის ცოლთან—ანტონინა ნიკოლოზის ასულ მირზაშვილთან განცხადებულ საჩივანზე მისი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნების არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება. (395—1—1)

დავკარგე საჩინადრო დავთარი მიღებული პირველი კომისარიატიდან ვარდისუბანის ქ. № 47. ყარამან რ. ტულუში. (394—1—1)

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მიერ გიორგი მიხეილის ძე მონინელიძის სახელზე; მეათე უბნის შრომის და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელ კომისიის ბეჭედ დაკრული ჩაითვალოს გაუქმებულად. (393—1—1)

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ცნობილი მწერლები და ლიტერატორები.

— **მომღერალი სანდრო დოლიძე.** ამ დღეებში, პეტროგრადიდან ტფილისში ჩამოვა რ. ს. ფ. ს. რ. აკადემიური თეატრების არტისტი-მომღერალი სანდრო დოლიძე.

— **საიათნოვას საღამო.** სამშაბათს, 10 ოქტომბერს, სახელმწიფო კონსერვატორიაში, შესდგება საიათნოვას ნაწერების მუსიკალური საღამო.

ლექციები დრამატიულ სტუდიაში. აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ სტუდიაში ლექციების კითხვა უკვე დაიწყო. ოთხშაბათს, 4 ოქტომბერს პირველი ლექცია-გაკვეთილი წაიკითხა კონ. დავითაშვილმა, შემდეგ თემაზე: „მეტყველების ტეხნიკა". ხუთშაბათს, 5 ოქტ. კონ დავითაშვილმა წაიკითხა მეორე ლექცია-გაკვეთილი: „მუსიკის და სიმღერის მნიშვნელობა დრამატიულ ხელოვნებაში" და აკაკი ფალავამ: „სასცენო ელემენტების დამუშავება". დღეს ხსენებულ სტუდიაში წაკითხული იქნება შემდეგი ლექციები: კონ. დავითაშვილი—„ხმის დაყენება". კონ. გამსახურდია—„ლიტერატურის ისტორია და დრამის მნიშვნელობა" და რეჟისორთა მიერ: „იმპროვიზაცია და მიმოდრამა".

საქმე იმაშია, რომ თქვენ გახსოვთ, როცა საბჭოთა პირველ ყრილობაზე ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენ ცხოვრებაში, საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში, იწყება **ახალი ხანა**, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ევლინება დღეს ნამდვილი საბჭოთა ორგანოები, რომ თვალი მოვავლოთ ჩვენ ცხოვრებას ამ ნახევარი წლის განმავლობაში და საერთოდ წლის ნახევრის განმავლობაში დავინახავთ, რომ ჩვენ მუშაობას მიეცა უფრო გარკვეული ხასიათი, თვითონ ნიადაგი მუშაობისა გაღრმავდა და გაფართოვდა. რასაკვირველია ჯერ კიდევ ბევრი გაჭირვება და სიძნელე გვაქვს გზაზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ პირობები რომელიც შექმნა როგორც საბჭოთა ხელისუფლებამ ისე კომუნისტურმა პარტიამ,—ეს პირობები არის დიდი საფუძველი ჩვენი მუშაობის წარმატებისათვის. მე ხაზს გაუსვამ იმ გარემოებას, რომ მრავალ ადგილას ჩვენ თვალსაჩინო საქმე გავაკეთეთ. სარწყავი არხების მოწყობა, გზების შეკეთება, ახალ ხიდების გაკეთება, ბევრ ადგილას ელექტრო სადგურის დადგმა—ყოველივე ეს პატარა მნიშვნელობის საქმე არ არის; გარდა ამისა, ჩვენ შევეცადეთ, პირველი მაგალითი მიგვეცა თესვის კამპანიის წარმოებისა, ამასთანავე შიმშილობის დროს ჩვენ შედარებით დიდი დახმარება აღმოუჩინეთ დამშეულ ხალხს; ყველა ეს ფაქტები ისეთი თვალსაჩინო არის, რომ მათი უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ ზოგიერთი კუთხე ჩვენ მუშაობის შედეგებს ვერ ხედავს. მრავალ მაზრაში ჯერჯერობით ვერ შევიჭერით, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი ერთად არ გაკეთდება. თუ ეხლა არა, ამას განვახორციელებთ მომავალ წელს. ამ მხრით თქვენ, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, დაინახავთ, რომ ჩვენ მუშაობას ფესვები გადგმული აქვს; მაგრამ უნდა ვიცოდეთ რომ საბჭოთა ხელისუფლებას ჰყავს მტრები, რომლებიც ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რამენაირად შეაჩერონ, ჩაშალონ ეს მუშაობა, ვინაიდან ეს მათ სიკვდილს მოასწავებს. მინდა მოგახსენოთ, რომ როცა ჩვენ აქ პირველ ყრილობაზე ვიყავით შეკრებილნი, იმ დღეებში მზადდებოდა გენუას კონფერენცია. მაშინ ჩვენი მტრები ემზადებოდენ ხელახალ ინტერვენციისთვის. ეს დამტკიცებულია ფაქტებით, ყოველ შემთხვევაში მათ უნდოდათ საქართველოში აურზაური აეტეხათ, რაიმე საბაბი ეშოვათ ამისთვის. იმათ წარმოშვეს ეგრეთ წოდებული სვანეთის ისტორია. დაიშალა თუ არა პირველი საბჭოთა ყრილობა ჩვენ შევიქენით მოწამენი ერთი ვითომც „დიდი აჯანყებისა სვანეთში". როცა ჩვენამდე მოვიდა ეს ცნობა, მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები; უპირველეს ყოვლისა ჩვენ გავგზავნეთ სვანეთში სამშვიდობო დელეგაცია, რომ გამოერკვია მდგომარეობა და გამოეცხადებია გაბრიყვებულ სვანეთისათვის თუ რაში იყო საქმე.

და მართლაც, საკმარისი იყო მხოლოდ ჩვენი დელეგაციის ადგილობრივ გამოცხადება და მთელი ეს გაუგებრობა მაშინვე გაქრა. უნდა მოგახსენოთ, რომ, არა თუ სისხლის ღვრა, არამედ ერთი კაცის მსხვერპლიც კი არ ყოფილა მას შემდეგ, რაც ჩვენი დელეგაცია მივიდა სვანებთან. მანამდის კი იყო გაუგებრობა. სვანებს ჩააგონეს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება აღარ არსებობს, ევროპიდან, ჟორდანია და სხვები მოდიან და საჭიროა შეერთება მათთანო. მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ ისინი ურცხვათ დატყუილებულ იქნენ მენშევიკების და ნაციონალისტების მიერ, მაშინვე სრული მონანიება გამოაცხადეს. მენშევიკები კი დღესაც სწერენ, რომ სვანეთში დიდი აჯანყება, დიდი სისხლის ღვრა მოხდაო. არა თუ ამას სწერენ, სწერენ იმასაც, რომ თითქოს დღესაც არის აჯანყება სვანეთში. ამას შვრებოდნენ იმისთვის, რომ ანტერვენციისათვის მოემზადებიათ ნიადაგი. დღეს როდესაც ამ ინტერვენციის იმედი სავსებით ჩაეშალათ, სხვა გზას მიმართეს; ისინი დარწმუნებული არიან იმაში, რომ ინტერვენცია შეუძლებელია; მეორეს მხრივ კი საბჭოთა ხელისუფლება თანდათან აფართოვებს თავის მუშაობას, იგი აკმაყოფილებს ხალხის დიდ უმრავლესობას, ზრუნავს მისი კეთილდღეობისათვის. ამიტომ ისინი ეხლა სხვანაირად იქცევიან. (თავმჯდომარე: თქვენი დრო გათავდა. ხმები: გთხოვთ განაგრძოთ) ეხლა იმათი ტაქტიკა იმაშია, რომ რამენაირად ჩაშალონ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა; ამ მიზნით ისინი სარგებლობენ იმ ბნელ ელემენტებით, რომლებიც მრავლად მოიპოვება ჩვენშიაც.

თქვენ იცით, რომ ჩვენში თავადაზნაურობა დიდ პროცენტს შეადგენს. ეს თავად-აზნაურობა, რომელსაც დღეს ჩამოართვეს თავისი წინანდელი მამულ-დედული, ის სხვა და სხვა გვარი ოფიცრობა, ბრწყინვალე ოფიცრობა, რომელიც წინათ დიდ როლს თამაშობდა, აგრეთვე სხვა და სხვა ჯურის ჩინოვნიკები, უმაღლესი სამღვდელოება, ეფისკოპოზების და კათალიკოსების სახით,—ყველა ეს ელემენტები, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდენ იმ მდგომარეობას, რომელიც რევოლიუციამ წარმოშვა და ყოველნაირად ცდილობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ხელი შეუშალონ. და აი სწორედ ამ ელემენტებს ეყრდნობიან მენშევიკები და სხვები და მათი საშუალებით ფიქრობენ ჩვენი მუშაობის ჩაშლას. უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ ამ მხრით იმათ ისარგებლეს ჩვეულებრივი ზომებით, იმათ მიმართეს ყაჩაღებსა და ბანდიტებს. ფიქრობდენ იმათ გამოყენებას. და ამას რასაკვირველია, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ხევსურეთის ხალხის დატყუილება—ეს ისეთი დანაშაული არის, როგორიც იყო სვანეთის, და შეიძლება კიდევ მეტი. ხევსურეთის ხალხს ისეთი ჭორები მიაწოდეს, რომ თითქოს მარტო ხევსურები არიან დღეს საბჭოთა ხელისუფლების ერთგულნი და მთელ საქართველოში თითქოს სხვა არავინ უჭერს მხარს ამ ხელისუფლებას. რა არის საბჭოთა ხელისუფლება, სამწუხაროდ, ხევსურებმა არც იციან და ამიტომ ასე ადვილათ წამოეგენ მატყუარების ანკესზე. რა თქმა უნდა, ამაში ჩვენც მიგვიძღვის რამოდენიმეთ, დანაშაული თუ არა შეცდომა მაინც. ის, რომ თავის დროზედ ვერ მივედით ხევსურებთან, ვერ აუხსენით მათ, ვერ განუმარტეთ საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა და აზრი. და ისინი წამოეგენ ანკესზე. ეს საქმე, რა თქმა უნდა, ეხლა უკვე დამთავრებულია. მხოლოდ საბაბი მიეცათ მენშევიკებს და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებს იმის თქმისა, რომ ხევსურეთში თითქო რამოდენიმე ათასი წითელი არმიელი იყო შეყვანილი და რამოდენიმე ათასი კაცი გაჟლეტილი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა; მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ამ გარემოებას.

მიუხედავათ იმისა, ამხანაგებო, რომ ჩვენ ფაქტიურად შევქმენით ნიადაგი საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერებისათვის, მაიც გვაქვს ნაკლი, რომელზედაც უნდა მიგითითოთ. არის ზოგიერთი დეფექტები, რომელთაც უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ. მე ვამბობ ზოგიერთ დიდ თუ პატარა ნაკლზე და ამას რასაკვირველია ჩვენ გვერდს ვერ ავუხვევთ. უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ჩვენი ხელით არ შეიქმნას ავაზაკობისა და ყაჩაღობის ნიადაგი, რომ ტყუილა უბრალოთ არ გაყაჩაღდეს ადამიანი. თუ ასეთი შემთხვევა არის, ჩვენ, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას წარმოვადგენთ, მოვალენი ვართ ამ მოვლენას მივაპყროთ ჯეროვანი ყურადღება, როგორც რიგი და წესია. არის ასეთი მაგალითი: ჩვენ ვიცით და თქვენ უკვე უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი მუშაობა ერთი მხრით ყოველ დღე ფართოვდება და მრავლდება, მაგრამ მას აქვს ზოგიერთი ნაკლი, რომელსაც ჯერ კიდევ თავი ვერ გავართვით.

ავიღოთ მაგალითად ნატურალური გადასახადის აღება. თქვენ კარგად იცით ჩვენი აზრი ამის შესახებ. იმ გარემოებას თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ეს გადასახადი, ან რომელიმე სხვა გადასახადი ამ გარემოებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. შეიძლება სწორედ ამ გატარების უხეირობამ წარმოშვას ნიადაგი ყაჩაღობისთვის და სწორედ აქ გვმართებს უდიდესი სიფრთხილე. ჩვენ ვიცით, რომ იდეალური მდგომარეობა შესაძლებელია მხოლოდ ოცნებაში, მაგრამ შეგვიძლია მიუახლოვდეთ, და არა თუ შეგვიძლია, არამედ მოვალენი ვართ მიუახლოვდეთ მას. მე ვამბობ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენ მუშაობას წინ გადაეღობა ის სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ბანდიტიზმი ეწოდება, რომელიც არის უკანასკნელი ზომა, უკანასკნელი ხერხი ჩვენი მტრებისა, მე ვამბობ, რომ ეს ფაქტი, იმავე დროს, გვაძლევს ჩვენ დიდ გაკვეთილს რათა ჩაუფიქრდეთ ჩვენ წარსულს გამოცდილებას და პრაქტიკას, ჩაუფიქრდეთ რაც შეიძლება ღრმად, რომ ავიცილოთ ბევრი ის ნაკლი, რომელიც, ასე თუ ისე, ხელს უწყობს—მე არ ვამბობ, რომ ეს ნაკლი იყოს მთავარი მიზეზი—ყაჩაღობას. დიახ, რამოდენიმეთ ხელს უწყობს; ამას არ დავმალავ, ეს უნდა ითქვას საჯაროდ იმისთვის რომ არასადეს ჭირი არ დაიმალება, როგორც ამბობს ანდაზა. ერთი უდიდესი ნაკლი კიდევ სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ, ადგილობრივ, და შეიძლება ცენტრშიაც, სხვა და სხვა დაწესებულებები ერთი მეორეს ეჯიბრებიან. რუსული ანდაზა ამბობს, შვიდ გამდელის ხელში ბავშვს მუდამ თავი გატეხილი აქვსო. ეს ასეა, ცხოვრებაშიაც. და საქმე ფუჭდება ამ შეჯიბრების დროს. მე ვერ წარმომიდგენია, რომ არ შეიძლებოდეს ამის ბოლოს მოღება. შეჯიბრების მაგიერ შეთანხმება-სოლიდარობა. და თუ არ არის შესაძლებელი, მაშინ ჩვენ არ ვარგებულვართ.

აი, ამხანაგებო, ის, რაც მე მინდოდა გაკვრით მომეხსენებია თქვენთვის ჩვენი ცხოვრების შინაური პირობების შესახებ. რასაკვირველია, ჩვენ ბევრი გავაკეთეთ, ჩვენ წინ წავედით, დიდი ნაბიჯი გადავდგით, ამას ლაპარაკი არ უნდა, ეს აშკარაა, საბჭოთა ხელისუფლებას ვერავინ ამოგლეჯს ცხოვრებიდან, მისი პრინციპიალური მეთოდები, მისი მოქმედებანი ხალხს უკვე გათვალისწინებული აქვს პრაქტიკულად, ის დამდგარია ნამდვილ რელსებზე, ეს უდავო საგანია. რასაკვირველია არის დეფექტებიც, მაგრამ, ამასთანავე უკვე არის საფუძველი, უკვე არის გარანტია იმისა, რომ ეს დეფექტები თავიდან აცილებული იქნება და საბჭოთა ხელისუფლება მედგრად გაჰყვება თავის გზას.

კალანდაძე: ამხანაგებო, მომხსენებელმა დაამთავრა თავისი სიტყვა. აქვს ვისმე შეკითხვა თუ არა? არ არის. (იმეორებს რუსულად). შეიძლება არის რაიმე წინადადება; ჩვენ ერთი წინადადება გვაქვს, შეიძლება კიდევ იყოს.

სტურუა: მოხსენება იყო სრულიად დამაკმაყოფილებელი და ვინაიდან თვით მომხსენებელმა სთქვა, რომ სრული ანგარიში ყრილობას ექნება წარდგენილი, მოხსენებას შევცვლით სრულიად დამაკმაყოფილებლად და გადავდივართ შემდეგ საკითხზე.

ამხ. **ღლონტი:** ეს რეგლამენტის დარღვევაა. შეიძლება ვისმეს სიტყვა აქვს.

კალანდაძე: არის თუ არა მსურველი სიტყვისა, განცხადება სამართლიანია.

ამხ. კახიანი: მე მგონია რომ ასეთი წინადადება უნდა იყოს: დაისვას კითხვა—იხსნება კამათი თუ არა.

ღლონტი: როგორ შეიძლება ასეთი კითხვის დასმა. ჩვენ გვაქ რეგლამენტი, რომელიც უფლებას გვაძლევს ლაპარაკისას.

ამხ. მახარაძე: შეეხო დღევანდელ საქართველოს მდგომარეობას, გამშუქა იგი. შეიძლება მაგის გარშემო იყოს ისეთი რამ, რის შესახებ ლაპარაკი ვისურვოთ. რეგლამენტიც ამას მოითხოვს.

ამხ. კალანდაძე: ამ კითხვის შესახებ გაიხსნას კამათი თუ არა. ერთითი წინადადება კახიანისა არ გაიხსნას, მეორე ღლონტისა—გაიხსნას. ყოველ შემთხვევაში, ფრაქციების წარმომადგენლებს მიეცეს სიტყვა. გთხოვთ პირველი წინადადების მომხრეთ ასწიოთ ხელი. ვინ არის მომხრე რომ კამათი არ გაიხსნას (ღლონტის წინადადება უარყოფილია) მაშასადამე ამხანაგებო წამოყენებულია ორი რეზოლიუცია ერთი და იმავე შინაარსისა. (კითხულობს რეზოლიუციას). „სრულიად საქართველოს საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ფილიპე მახარაძისა, აღმასკომის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ საბჭოების პირველი ყრილობიდან ვიდრე დღემდე, სცნობს მას სრულიად დამაკმაყოფილებლად და გადადის მორიგ საკითხებზე."

სხვა წინადადება არ არის. ვინ არის მომხრე, ასწიეთ ხელი. ვინ არის წინააღმდეგი. **რეზოლიუცია მიღებულია.** ამნაირად ამხანაგებო, პირველი კითხვა დღიური წესრიგისა ამოწურულად ჩაითვლება. ეხლა უნდა გამოვარკვიოთ დღიური წესრიგის რომელი საკითხი უნდა დაისვას განსახილველად. მეორე კითხვა არის დღიურ წესრიგში თემების და აღმასრულებელ კომიტეტების რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ სანამ ამ კითხვას შეუდგებოდეთ, საჭიროა გავიგოთ კომისიის აზრი. კომისიის თავმჯდომარეთ იყო ამხ. ეშბა, რომელიც აქ არ არის. რას იტყვის კომისიის წევრი ამხ. ღლენტი.

ამხ. ღლენტი: რადგანაც კომისიას მხოლოდ ერთი სხდომა ქონდა, და მან სავსებით ვერ განიხილა ეს პროექტი, მოითხოვს რომ ეს კითხვა გადატანილ იქნეს მეორე სხდომისათვის

ამხ. კალანდაძე. ამხანაგებო გაქვთ რამე ამის საწინააღმდეგო? ეს სერიოზული კითხვაა და მისი დამუშავება დროს მოითხოვს. ამისათვის მე მგონია უნდა გადავდოთ; ოღონდ ვთხოვოთ კომისიას, რომ ხვალისათვის უსათუოდ დაამზადოს ეს საკითხი, (ღლენტი ადგილიდან: ვეცდებით) მესამე კითხვა დაკავშირებულია მეორე კითხვასთან. მომხსენებელი ბორჯომის და ქიათურის შესახებ ერთი და იგივეა. მაშასადამე ეს კითხვაც გადიდება. (ხმა: ცალკე კომისიაა!) ცალკეა, მაგრამ მზათ არის თუ არა? (ხმები ადგილიდან: არ არის) შემდეგი კითხვა გახლავთ მიწის დებულების შეცვლის შესახებ. შეიძლება შეუდგეთ ამ კითხვის განხილვას თუ კომისიამ დაამთავრა მუშაობა.

ამ. სტურუა. კომისიამ წუხელ იმუშავა, დაამთავრა მუშაობა, ასე რომ მომხსენებელს შეუძლიან შეუდგეს მოხსენებას.

(შემდეგი იქნება)

მეოთხე სხდომა, 6 ოქტომბერს

სესიის მეოთხე სხდომა შეუდგა ბორჯომის რაიონის საკითხის გარჩევას. მოხსენება კომისიის სახელით გააკეთა ამხ. სტურუამ. კრებამ გადაჭრა დადებითად რაიონის ცალკე ერთეულათ გამოყოფის საკითხი და დაავალა პრეზიდიუმს მოაწესრიგოს მისი ადმინისტრატიული მართველობის საქმე.

შემდეგ კრება გადავიდა სისხლის სამართლის, პროკურატურის და ადვოკატურის საკითხების გარჩევაზე. მომხსენებლისთვის სიტყვა მიეცა ამხ. სურ. ქავთარაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის ფურცელი 50

რ. ა. კ. კ. მეხუთე ყრილობა

10 ოქტომბერს გაიხსნება სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მე 5 ყრილობა. კომუნისტური ახალგაზრდობის ისტორია განისაზღვრება მთელ საბჭოთა ფედერაციაში არა უმეტეს ხუთი წლის, რადგან როგორც ვიცით, მხოლოდ 1917 წლიდან იწყება რუსეთში დ ჩვენშიც ახალგაზრდა მუშების და მშრომელი გლეხობის მოძრაობა, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციამ მისცა საშუალება კომუნისტურად მოაზროვნე ახალგაზრდობას შეექმნა თავისი კავშირი, დაეარსებია თავისი ორგანიზაცია.

ჩვენ ბევრჯელ გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ 1917 წლამდის არ არსებობდა რუსეთის არც ერთ მხარეში, გარდა უმნიშვნელო ინტელიგენტურ მარქსისტული წრეებისა, სხვა არავითარი ორგანიზაცია მშრომელი ახალგაზრდობისა, რადგან რუსეთის სოციალდემოკრატიამ და ვერც სხვა „სოციალისტურმა" პარტიებმა ვერ მოახერხეს პროლეტარული ახალგაზრდობის გაერთიანება, მათი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გაბატონებულმა დროებით მთავრობაში მენშევიკურმა პარტიამ, საერთოდ, როგორც ბოლშევიკურ პარტიას ისე ბოლშევიკურად მოაზროვნე ახალგაზრდობასაც დევნა დაუწყო. ჩვენ ვიცით 1917 წლის სექტემბრის დემონსტრაცია მოსკოვის ფაბრიკა ქარხნების ახალგაზრდობის, რომელსაც მოუხდა შეტაკება წერეთელ-კერენსკების პოლიტიკასთან და საგრძნობი დაცინვის გადატანა. მიუხედავად მრავალგვარ შევიწროებისა და ბოლოს აშკარა დევნისა, ბოლშევიკურ პარტიის ახალგაზრდა წევრებმა აიღეს ინიციატივა მშრომელ ახალგაზრდობის მტკიცე ორგანიზაციის შექმნისა ქალაქად და სოფლად, რომლის ბრწყინვალეთ დაგვირგვინებაში უდიდესი დახმარება გაუწია ოქტომბრის რევოლიუციუციამ და ოქტომბრის შემდეგ შექმნილმა პირობებმა. ერთ და იმავე დროს როგორც ცენტრალურ რუსეთის, აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიის, ჩრდილოეთ კავკასიის და ამიერ კავკასიის ყველა სამრეწველო და ნახევრად სამრეწველო მხარეებში დაარსდა კომუნისტური ახალგაზრდობის უჯრედები, რომლებიც მიუხედავად მრავალ მსხვერპლის გაღებისა, პროლეტარულ რევოლიუციის სხვა და სხვა ფრონტებზე, აერთიანებს საბჭოთა ფედერაციაში 400.000 ახალგაზრდა მუშას და მშრომელ გლეხს.

პროლეტარულ სახელმწიფოში კომუნისტური ახალგაზრდობა იწვევს მე V ყრილობას. საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, რასაკვირველია, იღებს მონაწილეობას ამ ყრილობის მუშაობაში, სადაც მრავალი სერიოზული ამოცანა უნდა გადაწყდეს საბჭოთა ფედერაციაში კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობის მომავალ განვითარების ფორმების და მეთოდების გამომუშავებით.

უმთავრესი კითხვები მე 5 ყრილობის არის ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საშუალებანი, სოფლის ჩამორჩენილ ახალგაზრდობის განვითარება, მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური ინტერესების დაცვის საბოლოო მოწესრიგება და მათი სასკოლო განათლება. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მრავალი საძნელო პირობები შექმნა ახალგაზრდობაში მუშაობისათვის, როგორც სოფლად ისე ქალაქად. ამიტომ ახალგაზრდობის სხვა და სხვა ნაწილების სხვა და სხვაგვარათ მიდგომა საჭირია და ყრილობამაც სულ ახალი მეთოდები უნდა გამოიმუშაოს, რომლებიც გაადვილებენ ახალგაზრდობათა ყველა ნაწილებთან მისვლას, ყველაზე მეტი საჭირო და მნიშვნელოვანია სოფლის ახალგაზრდობაში მუშაობის გაფართოება, რადგან ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სპეციფიური სახე მიიღო სოფლებში, სადაც უფრო მეტად წვრილ ბურჟუაზიულ გავლენისაგან ჯერაც გაუნთავისუფლებელ ახალგაზრდობაში კომუნისტური აღმზრდელობითი განმათავისუფლებელი მუშაობა ქალაქისაგან ძლიერ განსხვავებულ სახეს იღებს.

კავშირის მუშაობაში არ არის დღემდის ქალაქში და სოფელში მუშაობის ფორმები დიდათ განსხვავებული, რაიც დიდ უხერხულებას ბადებს ლონისძიების პრაქტიკულად გატარების დროს. ყრილობას შეუძლია თამამად სთქვას, რომ წარსულ ყრილობის დასახული მიზანი, მუშათა ახალგაზრდობაში მუშაობის შესახებ დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა, რომ შედარებით გასულ წელთან, როდესაც შემოჭრილი იყო ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი, რომელმაც სწრაფლ მოიტანა ფაბრიკა-ქარხნების ახალგაზრდობის მდგომარეობის დაცემა, დღეს თუ მთლად არა, უმეტესად აღდგენილია, რომ ყველა მახინჯი ფორმები ახალ ეკონომიური პოლიტიკისა მუშათა ახალგაზრდობის მიმართ ძალზე შევიწროვებულია. დღეს უმთავრესად წინ დგება მუშათა ახალგაზრდობის განათლება, მისი სასკოლო განვითარება. პროფესიონალური ტეხნიკური, საქარხნო საფაბრიკო სკოლებისთვის, რომლებიც ამზადებენ საბჭოთა მეურნეობისათვის მაღალ კვალიფიკაციის მქონე მუშებს და გამრავლება მუშათა ფაკულტეტების უპირველეს საზრუნავ საგანს შეადგენს. მე-V-ე ყრილობის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი ექნება ბავშვთა მოძრაობის შექმნას, რომელიც დღეს ამცდარია კომუნისტურ აღზრდას.

ბურჟუაზიული საზოგადოება ყველაზე მეტად ამ ნაწილს აქცევს უდიდეს ყურადღებას, რადგან ბავშვთა ბუნება უცებ ითვისებს ყოველივეს, და ბავშვთა ფსიხოლოგია ერთხელ აღბეჭდილს ემორჩილება და შემდეგ იმ მიმართულებით ამუშავებს თავის გონებას, რომლის შეცვლა შემდეგ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ მოზარდი თაობის ამ ნაწილს სოციალისტურმა სახელმწიფომ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა მიიღოს პროლეტარული სახელმწიფოს მომავალი ამშენებლები არა ბურჟუაზიულ ეთიკით, ბურჟუაზიული სწავლით აღჭურვილი, არამედ კომუნისტურ პროლეტარული მსოფლმხედველობით, კომუნისტური აზროვნებით შეიარაღებული.

მე V ე ყრილობის გადაწყვეტილებანი აუცილებლად უნდა შეიქნეს კავშირის მუშაობის ახალი ხაზის მიმცემი, გაუმჯობესებული ფორმების მიმწოდებელი; რითაც კავშირი შესძლებს განვითარებას იმ მუშაობისას, რომლის წარმოება უხდება მას ახალგაზრდობის კომუნისტურ დროშის ქვეშ დასარაზმავად.

დ. ზ.

ამხ. შეინგარდის*) სიტყვა ა. კ. კ. ამიერ-კავკასიის მე-2 ყრილობაზე

ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის შესახებ.

ამხანაგებო! ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის, მესამე კონგრესის წინაშე იდგა მრავალი პრობლემები, რომლებიც ითხოვდენ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. მეორე კონგრესს უნდა გაეცა მათთზე ღირსეული პასუხი და ამიტომ მისი მუშაობა საქმიანი იყო. დაწყებული 1920 წლიდან უნდა გადაჭრილიყო მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც იდგა პროლეტარიატის წინაშე მისი რევოლიუციონური ბრძოლის დროს ევროპის ქვეყნებში. ახალგ. კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა ითამაშა გადამწყვეტი როლი კონკრეტიულ ამოცანების გადაჭრაში, რომელსაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ა. კ. კ. ის მოძრაობის შემდეგი განვითარებისთვის ევროპიულ ქვეყნებში. ევროპაში 18—19 წლებში იმპერიალისტური ომის გათავების შემდეგ პროლეტარიატის და მუშათა ახალგაზრდობის წინაშე წამოიჭრა მრავალი პოლიტიკური ხასიათის კითხვები. ეს საკითხები იყო დაკავშირებული პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებასთან და პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლასთან ყველა ქვეყნებში. და ამ ლოზუნგმა პროლეტარიატის დიქტატურისამ დაჩრდილა დანარჩენი პრობლემები, რომლებიც წამოჭრილი იყო მაშინ ევროპაში. დიდი როლი ითამაშა პროლეტარულმა კომუნისტურმა ახალგაზრდობამ, მაგრამ დაბრკოლებები გადაელობა მას წინ. ჩვენ ვიცით დამარცხებები ევროპის მრავალ ქვეყნებში, როგორც მაგ. უნგრეთში და სხვაგან. რევოლიუციონერები მაინც განაგრძობდენ ბრძოლას და აი მაშინ მოხდა პროლეტარულ მასების დაუძლურება.

ერთ მხარეს იყო კომპარტია და კომუნისტური ახალგაზრდობა და მეორე მხარეს კი მენშევიკური—ოპორტუნისტული პარტიები, რომლებიც გამოდიოდენ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე და ეს ბრძოლა სასტიკათ სწარმოებს ეხლაც მთელ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში და აი ამ ბრძოლის ახალ ფაზისში იწყება კაპიტალის შეტევა და პროლეტარიატის უფლებების და ეკონომიური ინტერესების დაჩაგვრა, სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის შემოკლება და სხვა. და ამ მიზეზების გამო, რომელმაც ცუდათ იმოქმედა მუშა პროლეტარიატის და მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობაზე, უნდა გამოეწვია ევროპის ყველა კუთხეებში მოძრაობა. კომინტერნის მეორე კონგრესის წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი სპეციალური ამოცანებისა. ა'ერთი კონკრეტიული ამოცანები იყო წამოჭრილი იმიტომ, რათა შეგვენარჩუნებია მუშათა ახალგაზრდობისათვის რევოლიუციონური სული, რომ მუშათა ახალგაზრდობა გაიწვიოს ბრძოლაში, რომ მან ბოლოს და ბოლოს შეძლოს შეცვლა მთლიან მუშათა კლასისა მის რევოლიუციონურ ბრძოლაში.

სპეციალური ამოცანები მეორე კონგრესისა იყო შემდეგი: პირველად ყოვლისა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი უნდა წარმოადგენდეს იმ შკოლას, რომელიც ჰკრეფს ახალგაზრდობას შემდეგი ბრძოლისათვის და აღზრდის მათ კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

მეორე ამოცანა—აღზრდა მუშათა ახალგაზრდობის მეცნიერულ მარქსიზმის დროშის ქვეშ. დარაზმვა და შევსება კომუნისტური მასების პროლეტარულ ახალგაზრდობის რიგებიდან, და მომზადება მათი შემდეგი ბრძოლისათვის. და ბოლოს ევროპის მძიმე მდგომარეობისა და საერთოდ ეკონომიური კრიზისის გამო, ეკონომიური პრობლემები ეხებოდა ხელფასს და სამუშაო დღის სიდიდეს. კონგრესზე იყო მიღებული ბრძოლის ფორმები ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ეკონომიური მდგომარეობის შენარჩუნებლად, რომელიც იყო შემუშავებული პროლეტარების მიერ ომის წლებში და აი ამ გეგმით კომუნისტური მუშათა ახალგაზრდობა მიუდგა აქტიურ კლასიურ ბრძოლას.

ამხ. შეინბერგი შემდეგ იძლევა განმარტებას გერმანიაში მონარქისტულ მოძრაობის შესახებ. მონარქისტული მოძრაობა არსებობს ნამდვილად და ეყრდნობა წვრილ ბურჟუაზიული ტენდენციებს და საშუალო კლასის მისწრაფებებს. მაგრამ საქმე იმაშია რომ გერმანიაში ჯერ კიდევ 1919 წელში კაპის მონარქისტულ მოძრაობის დროს პროლეტარიატმა გამოვიდა ქუჩებში და დაამარცხა მონარქიზმი. შემდეგ ადგილი ქონდა მოძრაობას, რომელიც უკავშირდებოდა რატენაუს მკვლელობას, შეერთებულმა პროლეტარულმა ელემენტმა გერმანიაში შესძლო მონარქისტული მოძრაობის ტენდენციების დამარცხება. **პროლეტარული ელემენტი გერმანიაში ძლიერ მძლავრია და იმან უნდა აწარმოვოს ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის გერმანიაში** და კომპარტიას უხდება ამ მიმართულებით მუშაობა, რომ შეაკავშიროს დანარჩენი მასსები, რომელნიც მიყვებიან მენშევიკურ იდეოლოგიას, ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური პარტიებთან სწარმოებს, მონარქისტულ მოძრაობას კი არა აქვს არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა გერმანიისათვის. მუშათა კლასის და მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიურ ინტერესებისათვის და უმთავრეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში გადის მთელი მოღვაწეობა დასავლეთ ქვეყნების კომუნისტურ ახალგაზრდობის. ეხლა პრაქტიკული პრობლემა, რომელიც სდგას კომუნისტურ ახალგაზრდობის წინაშე, იხრება იქითკენ რომ აწარმოონ არა მარტო მთლიანი ბრძოლა, არამედ ბრძოლას მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი, და ორგანიზაციული გამოსვლით თავის მიზნის მიღწევა. მეორე კონგრესის შემდეგ მოძრაობა თანდათან ფართოვდება, ამ მოძრაობამ განსაკუთრებით მიიღო მასსიური ხასიათი იტალიაში სადაც მეფობს ფაშისტების თეთრი ტერორი. კომუნისტურ ახალგაზრდობის რიგებში ირიცხება მაინც 40.000 წევრი, გერმანიაში კომუნისტური ახალგ. მოძრაობამ მიიღო სერიოზული ხასიათი.

ჩეხო სლოვაკიაში ბრძოლა კომუნისტურ ბრძოლასთან ღებულობს მკაცრ ხასიათს. მენშევიკურ ელემენტების ბრძოლა ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირის კანონიერ მოთხოვნილებების წინააღმდეგ გამოიხატება იმაში რომ მენშევიკური ორგანიზაცია სცდილობს შეიტანოს განხეთქილება მუშათა კლასის და პროლეტარულ ახალგაზრდობის რიგებში. ამისათვის ისინი მიმართავენ ყოველგვარ ექსცესებს და ინსინუაციებს, რათა გახრწნან პროლეტარული ახალგაზრდობის რიგები.

სხვათა შორის გერმანიის კომუნისტურ ახალგაზრდობის მოწოდებაზე მთლიანი ფრონტის დაარსების შესახებ—ახალგაზრდათა მენშევიკურმა ორგანიზაციებმა **უარით გვიპასუხეს** იმიტომ, რომ ვითომდა კომუნისტური პარტია აქ საქართველოში უკანონოთ მოქმედებს, რადგან ცდილობს მთელი თავის ძალებით გაანადგუროს მენშევიკური ძალები, ის მენშევიკური ძალები, რომლებიც, როგორც გადმომცეს, გვერდში უდგას კახეთის ერთ ერთ თავადის ბანდიტიზმს. ისინი ამბობენ რადგან კომუნისტური პარტია საქართველოში აწარმოებს ბრძოლას სხვა სოციალისტურ პარტიების საწინააღმდეგოთ ამიტომ ზედმეტად მიაჩნიათ ლაპარაკი მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შესახებ. ამრიგად მენშევიკური ორგანიზაცია არ იძლევა რა გადაჭრილ პასუხს, მიმართავს საბოტაჟს. შორდება რევოლიუციას და ბურჟუაზიულ წესწყობილების გამაგრებას უწყობს ხელს.

განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის პროფესიონალური კავშირები, რომლებშიაც კი არიან მოკალათებული ოპორტუნისტები თავგადადებით ებრძვის კომუნისტურ მოძრაობას.

კომუნისტური მოძრაობა, როგორც მოვიხსენიეთ, განსაკუთრებით გაიზარდა იტალიაში ფაშისტების საწინააღმდეგოთ. კომუნისტური პარტიის მტრები უწოდებენ კომუნისტურ მოძრაობას ტერორიზმს და ცდილობენ თავიანთი ძალები გამოიყენონ მათ საბრძოლველად.

მაგრამ მათ ცდას არ აქვს წარმატება, მიუხედავად იმისა ყველა დანარჩენი პარტიები ეხმარება მათ, მაინც მენშევიკურ ახალგაზრდობის ორგანიზაციაში ირიცხება იტალიაში 3000, მაშინ, როდესაც კომკავშირის წევრები არის 40.000 მეტი.

ყველგან კომუნისტური ახალგაზრდობა ძლიერდება. მას ოპოზიციაში იმყოფებიან ახალგაზრდები, რომელნიც შემოკრებილნი არიან მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის გარშემო. კომუნისტურმა ახალგაზრდობამ საფრანგეთში გამოიტანა რეზოლიუცია—სასტიკი ბრძოლა აწარმოვოს ყოველგვარი გამთიშველი ტენდენციით გამსჭვალულ ელემენტების წინააღმდეგ თვით საფრანგეთში.

ამერიკაში და ინგლისში, სადაც ყველაზე უფრო ძნელია კომუნისტური პროპაგანდის გაწევა განსაკუთრებით ახალგაზრდობის შორის, უკვე დაარსდა კომუნისტური ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი წრეები და იაჩეიკები, რომელნიც განაგრძობენ ბრძოლას.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სადაც კომუნისტური მოძრაობას ხვდებიან ათასგვარი რეპრესიებით და ექცესებით, პირქვეშ უხდება მუშაობა ძლიერ მძიმე პირობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა კომუნისტური ახალგაზრდობა ადგენს მარქსისტულ წრეებს, აწყობს ექსკურსიებს, თავისუფალ დროს იფანტებიან ყველა ქვეყნების ფაბრიკებში და ქარხნებში და იქ ავრცელებენ კომუნისტურ იდეიას. ასე რომ ახალგაზრდათა კომინტერნის მომავალ 3 მე კონგრესის წინაშე რომელიც იწვევა ნოემბერში, იქნება დასმული სერიოზული საკითხები, იმის შესახებ თუ რა მიმართულებით განვაგრძოთ ბრძოლა კომუნისტური ახალგაზრდობის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნების პროლეტარიატის შორის.

ეს მორიგი ამოცანა, რომელიც სდგას მესამე კონგრესის წინაშე უნდა იქნას დაცული თქვენი განწყობილებით და რეზოლიუციებით და **მხარი უნდა დაუჭიროთ ძმურ ორგანიზაციებს იმ ქვეყნებში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არის ჯერ ჯერობით მხოლოდ იდეალათ და კომუნისტური პარტიის გამარჯვება მუშათა კლასის იდეიურათ რჩება, თქვენი მხარის დაჭერით თქვენ გაამხნევებთ ძმურ ორგანიზაციებს შემდეგი ბრძოლისათვის.**

ინდოეთში, ჩინეთში და იაპონიაში ამ მოძრაობას აქვს საერთო ხასიათი იქ უმთავრესად ღებულობენ მონაწილეობას, ინტილიგენტები და უნივერსიტეტის ახალგაზრდობა, რომელნიც იმყოფებიან კომინისტურ იდეიის გავლენის ქვეშ და ცდილობენ ეს იდეია გაავრცელონ პროლეტარულ ახალგაზრდობის შორის აზიის სამრეწველო რაიონებში. ინდოეთში უნივერსიტეტის ახალგაზრდათა შორის დაარსდა წრე 500 კაცისაგან, რომელიც ისახავს თავის მიზნათ გაავრცელოს მარქსისტული ლიტერატურა და აგრეთვე ეწევიან პროპაგანდას სამრეწველო ცენტრებში მუშათა მასებში როგორც არის ბომბეი და სხვა. ჩამორჩენილ ჩინეთში ჩვენს ორგანიზაციაში უკვე ირიცხება 3 000 კაცი. ინდოეთში და ჩინეთში უმთავრესად ბრძოლა სწარმოებს პროფესიონალურ კავშირებში, პროფესიონალური კავშირები რამდენათაც ისინი რევოლიუციონურად არიან განწყობილნი მთლიანად იმყოფებიან სინდიკალისტურ პარტიის ტენდენციის გავლენის ქვეშ, მაგრამ თანდათანობით ხდება ამ სინდიკალისტურ პარტიისაგან მუშათა ელემენტების გამოყოფა, და პროფესიონალური კავშირი ცდილობს მისცეს ამ გამოყოფას სათანადო მოძრაობის ხასიათი და განავითაროს მუშათა ელემენტები მარქსისტულად. იაპონიაში ინტელიგენცია თამაშობს დიდი როლს კომუნისტური იდეიის გავრცელებაში, უკანასკნელმა გაფიცვებმა დაამტკიცა რომ ეს მოძრაობა იზრდება და მარქსისტული ლიტერატურა ვრცელდება ყველა ქვეყნებში. კომუნისტური ახალგაზრდობა ამ ქვეყნებში აწარმოებს იდეურ ბრძოლას და მუშათა ახალგაზრდობის მომზადებას კომუნისტური იდეების შესათვისებლად.

რაც შეეხება ინგლისს აქ ეს მოძრაობა სუსტია. ეს სისუსტე აიხსნება ბრიტანიის იმპერიის სპეციფიურ და ეკონომიურ მდგომარეობით. დღევანდელ მომენტში, როგორც ვიცით, ინგლისში სოციალ-დემოკრატები იმყოფებიან სრულ კონტაქტში და კოალიციაში მთავრობასთან და ბურჟუაზიულ ელემენტებთან. მაგრამ ჩვენ ვიცით რომ ინგლისის კოლონიები აწარმოებენ ბრძოლას თავის დამოუკიდებლობისათვის, მაგალითად ინდოეთში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში. ეს ბრძოლა მიიყვანს მათ კონფლიქტამდე და შეიტანს კოალიციონურ რიგებში განხეთქილებას. კონფლიქტის ობიექტიური პირობები ძლიერ უწყობს ხელს ინგლისის კომუნისტურ პარტიას, და ამითი სარგებლობს ის, მიუხედავათ ამისა ინგლისში მოძრაობა ძლიერ სუსტია. მაგრამ ის ყოველდღიურად იზრდება. მაშინ როდესაც იქ შარშან არაფერი იყო, დღეს ჩვენს ორგანიზაციებში ირიცხება რამოდენიმე ათასი.

გერმანიაში კომუნისტური ახალგაზრდობა აერთიანებს 30.000 წევრს, რომელნიც იმყოფებიან მთლიანად კომუნისტურ იდეიის გავლენის ქვეშ, და აწარმოებენ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

აქ იბადება ერთი კითხვა თუ რა ნაირი პოზიციას დაიკავებენ გერმანიის კომუნისტური ორგანიზაციები მონარქისტების და შეიდემანელების დაფარულ ბრძოლის დროს? რასაკვირველია კომუნისტური ორგანიზაცია ასეთ ბრძოლის დროს შეეცდება დაამარცხოს მონარქისტები და კონტრ რევოლიუცია თუ საქმე მივიდა აშკარა შეტევაზეც.

საერთაშორისო მოძრაობა ახალგაზრდათა კომინტერნის მუშათა ახალგაზრდობის კონგრესები

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება (ამა წლის 10 აგვისტოს), რომელშიაც ის მოუწოდებს მთელ მუშათა ახალგაზრდობის ძალებს გაერთიანებისაკენ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად კაპიტალის შემოტევის საწინააღმდეგოთ. ამ მიზნით აღმასკომი აქვეყნებს ლოზუნგს საერთაშორისო ახალგაზრდათა პროლეტარულ ორგანიზაციების კონგრესის მოწვევის შესახებ.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომი მოიწვევს აგრეთვე ამ წლის ნოემბერში ქ. მოსკოვში მესამე კონგრესს.

კონგრესის დღის წესრიგი შემდეგია: **1. მოხსენება კომინტერნის მე-4 კონგრესის შესახებ, 2. მოხსენება ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის, 3. შედეგები ახალ. კომინტერნის მეორე კონგრესის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისა, 4. ეკონომიური მდგომარეობა და მუშათა ახალგაზრდობის ბრძოლა, 5. უახლოესი ამოცანები ბრძოლისა მილიტარიზმის და თეთრი ტერორის წინააღმდეგ, 6. ახალგაზრდათა კომინტერნის პროგრამა, 7. მუშათა ახალგაზრდობის მთლიანი ფრონტი.** სპეციალური კომისიები განიხილავენ სპორტის საკითხებს, კოლონიალურ ქვეყნებში მოძრაობას, და კომუნისტური ბავშვთა ჯგუფების საქმიანობას. დღის წესრიგის მე 4 და მე 7 პუნქტები გამოიწვევს დიდ ინტერესს პოლიტიკურ მოძრაობით დაინტერესებულთათვის.

პირველად იქნება დასმული და განხილული საერთაშორისო კონგრესზე პრობლემა—მუშათა ახალგაზრდობის მდგომარეობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში და მეთოდები მუშათა ახალგაზრდობის განმათავისუფლებელ ბრძოლისა.

„შვიდი წლის უკან", არის ნათქვამი ახალგ. კომინტერნის მოწოდებაში, **„იმპერიალისტურ ომის ზარბაზნების ქუხილის დროს მუშათა ახალგაზრდობის მიერ იქნა გადმოგდებული ლოზუნგი: „ძირს ომი"**.

ამის შემდეგ მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე თანდათან გადაიქცა მთელ მუშათა ახალგაზრდობის სამხედრო ლოზუნგათ.

ამ წელს აუცილებლად 3 სექტემბერს—ახალგაზრდათა დღეს—მუშათა ახალგაზრდობამ თავის გრანდიოზული დემონსტრაციით დაამტკიცა რომ ის არსებობს და მზად არის იბრძოლოს.

მომენტი თხოულობს ყველა ახალგაზრდათა პროლეტარულ ორგანიზაციების გაერთიანებას უფროს მუშების ორგანიზაციებთან ერთად, გაერთიანებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

აი რატომ ახალგაზრდათა კომინტერმა მოიწვია ახალგაზრდათა პროლეტარული ორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესი.

გამოდით ქუჩებში მე-8 ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს!

მუშათა ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესისათვის!

პროლეტარულ ახალგაზრდობის რევოლიუციონურ განმანთავისუფლებელ ბრძოლისათვის!

პროლეტარული მთლიანი ფრონტისათვის!

ამ მოწოდების გამოქვეყნებამდის საფრანგეთის კომკავშირის ცეკამ მიიღო აგრეთვე ანალოგიური რეზოლიუცია.

ერთი ეპიზოდი კ. ლიბკნეხტის ცხოვრებიდან

ამხ. კ. ლიბკნეხტი სამხედრო სამჯავროს წინაშე

ბრალდებული ლიბკნეხტი: „კატორღის საპყრობილე", „მოქალაქობრივი უფლების დაკარგვა"—დეე იყოს... თქვენი პატიოსნება არ არის ჩემი პატიოსნება. მაგრამ მე თქვენ მეტყვით: არც ერთს გენერალს არ უტარებია თავისი მუნდირი ისეთი ხალისით, რა ხალისითაც ვატარებ მე სატუსაღო ტანისამოსს. მე აქა ვარ იმისთვის, რომ გავმტყუნდე და არა დავიცვა თავი.

არა სამოქალაქო მშვიდობიანობა, არამედ სამოქალაქო ომი—აი ჩემი ლოზუნგი. **„ძირს ომი, ძირს მთავრობა"**.

ბრალმდებელთა წარმომადგენელი, ძლიერ აღელვებული აღნიშნავს მის საწინააღმდეგოთ მიმართულ სიტყვებს ბრალდებულის მხრივ და ეყრდნობა ხალხის მსჯელობას ბრალდებულის შესახებ.

ბრალდებული: იფიქრეთ მხოლოდ რომ, ბრალმდებელთა წარმომადგენელი მიწოდებს მე უპატიოსნოს და თხოულობს 6—წლით ჩემთვის მოქალაქობრივი უფლების წართმევას. მე პასუხს ვაძლევ—6—წლის კატორღა და 10—წლით მოქალაქობრივი თავისუფლების წართმევა უმნიშვნელო რამ არის, მხოლოდ საყურადღებო ის არის, რომ ჩემს წინააღმდეგ მოიწვიეს ხალხი მოწმეთ. ნუ შვრებით ამას მხოლოდ სიტყვით, სასამართლოს ცხრა კლიტულში, რადგან აქ ყოველივე იმალება ხალხისაგან. **გაანთავისუფლეთ ხალხი იძულებული ხიჩუმისაგან და ბორკილებისგან.** შეაგროვეთ ხალხი და ჯარისკაცები ფრონტიდან, სადაც თქვენ გინდათ; მაშინ წავიდეთ იმათთან; ერთს მხარეს თქვენ ყველა მსაჯულები—გენერალურ შტაბის ბატონები სამხედრო სამინისტროდან, სამხედრო პრესიდან ყველა ბრალმდებელნი, და მეორე მხარეს კი მე, ან რომელიმე ჩემი ამხანაგი. **ვის მხარეზე იქნება ხალხის მასსა, როდესაც ყოველივე გამომჟღავნდება, თქვენსა თუ ჩემს მხარეზე**, ამაში ეჭვი არ მეპარება.

ლიბკნეხტი შესძახებს: ძირს მთავრობა, ძირს ომი.

ბრალმდებელთა წარმომადგენელს შემოაქვს წინადადება, რათა კარები დაიხუროს განაჩენის მოტივების მოხსენების დროს.

ბრალდებული: „მართალია თქვენ გაქვთ ყოველივე საფუძველი **დაკეტოთ კარები „საზოგადოებრივი შეხედულებისათვის"**.

სასამართლო მაინც ადგენს გაირჩეს შემოტანილი წინადადება **დახურულ კარებში**.

ყვითელი სოციალისტები ვანდერველდე გენდერსონ-მაკდონალდები მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალიდან ასეთი უმსგავსო ცილის წამებით გამოდიან საბჭოთა სოციალისტურ მართლმსაჯულების წინააღმდეგ, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი **ღია კარებში** ყველას თანდასწრებით მშრომელთა სახელმწიფოს ძირის გამომთხრელებს და მოსისხლე მტრებს—ესერების პარტიის წარმომადგენელთ მიუდგომელი კანონებით ასამართლებს. სად იყავით ბატონებო მაშ როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატის სიამაყეს, სახელოვან მებრძოლს ასამართლებდა **დახურულ კარებში** გერმანიის ბურჟუაზია მხოლოდ იმისთვის, რომ ლიბკნეხტი იცავდა მუშათა კლასის ინტერესებს რომ მან გასწია აგიტაცია გამანადგურებელ და წმინდა ყაჩაღურ მიზნებით წარმოებულ იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ. ამ დროს ვანდერველდე სამარ ბრძანებებს ხელს აწერდა მეფე ალბერტთან, გენდერსონი გეორგისთან და მაკდონალდი თვალთმაქცურად გაჩუმებულიყო.

სამი სექტემბერი საბჭოთა საქართველოში

დ. ხარაგოული.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად წინასწარ იქნა არჩეული მომწყობი კომისია, 3 სექტემბრისთვის იქნა მორთული ტრიბუნა, ბაზარი წითელი დროშებით და მწვანეულობით აგრეთვე სადგურიც, 3 სექტემბერს რაიონის ყველა კავშირის წევრები თავს იყრიან თემკომის ბიუროში მასთან მოდიან მწკრივად დაწყობილი უფროსი ამხანაგები ამ დროს მოდის რკინის გზას მუსიკა და მთელი ამხანაგები მასთან უპარტიო მშრომელი ახალგაზრდობა დემონსტრაციით მიემართებიან სადგურიდან თემის კომიტეტის ბიუროში შემდეგ კი ტრიბუნისკენ. ტრიბუნასთან თავს იყრის აუარებელი ახალგაზრდობა. საერთოდ მიტინგს ესწრება **600-მდე** მუშა და გლეხი. არიან რკინის გზის მუშები და სხვა, კომუნისტური კავშირის სახელით მიტინგს ხსნის ამხ. ი. თხელიძე პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. ვანო ბუაჩიძეს რომელიც ახასიათებს ახალგაზრდობის მოძრაობას როგორც რევოლიუციონურ ძალას და რომელიც პირველად გამოვიდა ქუჩებზე და კაპიტალისტურ ომს ომი გამოუცხადა. შემდეგ გამოდის ამხანაგი ალექსანდრე ბოცვერაძე ფართოთ ეხება ახალგაზრდობი წარსულ ისტორიას იგონებს უდროვოდ დაღუპულ ამხანაგებს, კერძოთ გერმანიის ეგრეთ წოდებულ სოციალისტების მენშევიკების მიერ მოკლულ ამხ. კარლ ლიბკნეხტის ხსოვნას. შემდეგ ამხანაგი განაგრძობს მოხსენებას, ეხება 2 ინტერნაციონალის მუშაობას კაპიტალისტურ ომის დროს თუ როგორ მოატყუა მენშევიკებმა პროლეტარიატი ვითომცდა სამშობლოს დაცვას მოუწოდებდნენ და თავთავიანთ კაპიტალისტებს როგორ ამოუდგნენ გვერდში. როგორ გამოვიდა ამ დროს მშრომელი ახალგაზრდობა თითქმის ევროპის ყველა ქუჩებზე და ომს ომი გამოუცხადა და ბოლოს ამხანაგი ამბობს ვის გაყვება ახალგაზრდობა ის გაიმარჯვებსო და ამას მოწმობს ჩვენი 12,000 კომუნისტური კავშირი. და ბოლოს გამოდის ამხანაგი სოსო ბუაჩიძე ეხება ახალგაზრდობის მუშაობას სამოქალაქო ომში როგორ უდგა გვერდით ახალგაზრდობა თავის უფროს ძმებს და როგორ ავსებდა წითელ არმიას თავის რიგებით და ჩვენ ვხედავთ დღეს ამ ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას, როგორც ბურჟუა კაპიტალისტების თეთრი არმიის სრული განადგურებით და პროლეტარიატის სრული გამარჯვებით. (მიტინგი) შემდეგ იქნა გამოტანილი სათანადო რეზოლიუცია. რის შემდეგ მიტინგი დახურულად ცხადდება მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს ახალგაზრდობა მეტად კმაყოფილი დაიშალა გაუმარჯოს წითელ ახალგაზრდობის ძახილით.

ინსტრუქტორი ი. თხელიძე.

---

*) ამხ. შეინგარდი გერ. ა. კ. კ. ცეკას მდივანი და ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის წევრია.

ტირაჟი 12.000 ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.